

ისტორიის შესწავლის მოტივაციის ამალგა VII^ა კლასში

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა

სსიპ ქ. ბათუმის №6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი:

მზია ბაუყაძე

ბათუმი

2018–2019 სასწავლო წელი

სარჩევი

1. შესავალი.....	3
2. საკვლევი თემის მიმოხილვა.....	5
3. ლიტერატურის მიმოხილვა.....	9
4. კვლევის მეთოდები და ინსტრუმენტები.....	13
5. კვლევის შედეგები/მონაცემთა ანალიზი	16
6. კვლევის ძირითადი დასკვნები, მიგნებები და რეკომენდაციები.....	27
7. ინტერვენციების აღწერა.....	31
8. ინტერვენციების შეფასება.....	38
9. დასკვნა	41
10. გამოყენებული ბიბლიოგრაფია.....	44
11. დანართები:.....	45

შესავალი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სსიპ ქ.ბათუმის №6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლაში განხორციელებული პრაქტიკული კვლევის ანგარიშს. კვლევა განახორციელა ამავე სკოლის ისტორიის მასწავლებელმა მზია ბაუჟაძემ. კვლევის საგანს წარმოადგენს ისტორიის შესწავლის მოტივაციის ამაღლება VII^o კლასში. თემაზე ვმუშაობდი 2018–2019 სასწავლო წლის განმავლობაში, ოქტომბრიდან-ივნისის ჩათვლით.

როგორც ვიცი, ყველა აქტივობას მოტივაცია უდევს საფუძვლად. როგორც ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალზე ვკითხულობთ, „მოტივაცია არის ქცევის განხორციელების ფსიქოლოგიური საფუძველი. რაც უფრო მეტად მოტივირებულნი არიან მოსწავლეები, მით მეტია სწავლის ხარისხი, რაც ნაკლებად არიან მოტივირებულნი - შესაბამისად, სწავლის ხარისხიც იკლებს“. (ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალი, ლექსიკონი)

გამომდინარე იქედან, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის თანახმად, მე–7 კლასის მოსწავლეები დაწყებითი საფეხურიდან ინაცვლებენ საბაზო საფეხურზე (დაწყებითი საფეხური (I-VI კლასები), საბაზო საფეხური (VII-IX კლასები))(ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალი, საგნის სწავლების საფეხურების დახასიათება), იწყებენ რა მსოფლიო ისტორიის შესწავლას (მანამდე, სწავლობენ საქართველოს ისტორიას, ეთნოგრაფიას და გეოგრაფიას ერთად), შესაბამისად, ეჭიდებიან ახალ სირთულეებს. ამ დროს აუცილებელია, მოსწავლეებმა შეძლონ ისტორიული აზროვნება, მათ არ უნდა გაუჭირდეთ უხვად მიწოდებული ინფორმაციის აღქმა/დახარისხება, ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების გააზრება. როგორც წესი, თუ არ გაიზარდა მოსწავლეებში ისტორიის შესწავლის მოტივაცია შესაძლებელია, მოსწავლეს საერთოდ გაუქრეს ისტორიის შესწავლის სურვილი. ეს პრობლემა კი მოსწავლეებს მაღალ კლასებში კიდევ უფრო მეტად შეუშლის ხელს საგნის სრულყოფილად დაუფლებაში.

ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აღნიშნული სკოლას, 2012 წლის 19 სექტემბრიდან, ფიზიკა-მათემატიკის გაძლიერებული სწავლების სტატუსი მიენიჭა (სსიპ ქ.ბათუმის №6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა, სკოლის ისტორია). შესაბამისად, გაიზარდა სკოლაში ფიზიკა-მათემატიკის სწავლების ხვედრითი წილი

და სწორედ ამიტომ, რადგან მოსწავლეები დიდ დროს უთმობენ ფიზიკა-მათემატიკის შესწავლას, მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს არ დაეკარგოთ ისტორიის შესწავლის სურვილი.

აღნიშნული თემით დაინტერესება გამოიწვია ასევე იმ ფაქტმა, რომ მრავალი წელია ვასწავლი სსიპ ქ. ბათუმის №6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლაში. პერიოდული დაკვირვებების საფუძველზე, როგორც საგნის პედაგოგმა, შევამჩიე, რომ უმეტეს შემთხვევაში, საბაზო საფეხურზე ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ისტორიის შესწავლის მოტივაციის დაბალი დონეა, რომ მოსწავლეებს შეექნათ დაბრკოლება ამდენი ინფორმაციის ლაბირინთში დაემახსოვრებინათ ის ფაქტები და მოვლენები, რომლებსაც მათ სახელმძღვანელო სთავაზობდა, შესაბამისად, ეკარგებოდათ მოტივაცია და იკვეთებოდა მიზნობრივი საჭიროება უფრო ღრმად შემესწავლა საკითხი და ჩამეტარებინა კვლევა იმ მიზეზების აღმოჩენისთვის, რომლებიც იწვევდა საგნისადმი ინტერესის დაქვეითებას, რათა დამესახა მიზნები, არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის.

ამიტომ გადავწყვიტე გამომეკვლია მოტივაციის დაქვეითების მიზეზები და მომიძებნა მოტივაციის ამაღლების გზები.

მოსწავლის სასწავლო აქტივობები შეიძლება განპირობებული იყოს მისი შინაგანი ან გარეგანი მოტივაციით. ამიტომ პედაგოგმა სასწავლო პროცესის დაგეგმვისას უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის მოტივაცია, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის სამომავლო განვითარებას.

ამრიგად, კვლევა პრაქტიკული, გამოყენებითი ხასიათის მატარებელია. საკითხი აქტუალურია, პრობლემის კვლევა და შესაბამისი ინტერვენციების განხორციელება კი, რა თქმა უნდა, ჩემს პედაგოგიურ პრაქტიკასაც გაცილებით დახვეწილსა და სასურველ შედეგებზე ორიენტირებულს გახდის. კვლევის შედეგები არამხოლოდ ჩემთვის, არამედ აღნიშნული სკოლის (და არა მარტო) პედაგოგებისთვისაც საინტერესო შეიძლება აღმოჩნდეს.

საკვლევი თემის მიმოხილვა

აღნიშნული თავი მოიცავს ინფორმაციას პრობლემის აღწერის, გამოწვეული სირთულეების, კვლევის ჩატარების გამომწვევ მიზეზებსა და მიზნის შესახებ ინფორმაციას.

კვლევის ჩატარება გადაწყვიტე სსიპ ქ. ბათუმის №6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის მე-7 კლასში. აღნიშნულ კლასს ვიცნობ კარგად, გამომდინარე იქედან რომ ვასწავლი მეხუთე კლასიდან. შესაბამისად, კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ მეშვიდე „ა“ კლასის მოსწავლეები.

კლასში გახლავთ 34 მოსწავლე (მათ შორის არც ერთი არაა სსსმ მოსწავლე). კლასი შედგება ძირითადად საშუალო და მაღალი სტატისტიკური აკადემიური მოსწრების მოსწავლეებისაგან.

როგორც აღვნიშნეთ, კვლევის საგანს წარმოადგენს ისტორიის შესწავლის მოტივაციის ამალგება VII კლასში. აღნიშნულ კლასში, სასწავლო წლის დასაწყისში, მსოფლიო ისტორიის შესწავლის მოტივაციის დაბალი დონე შევამჩნიე, რაც სწავლების წინა 2 კლასის განმავლობაში არ შემიმჩნევია. გამოიკვეთა მოტივაციის ნაკლებობა და განმამტკიცებელი სტიმულების უგულვებელყოფა. მოტივაციის არ ქონა შესამჩნევია შემდეგ ასპექტებში: პირველ რიგში, შევამჩნიე, რომ მოსწავლეები წინა წლებთან შედარებით, ნაკლები ხალისით ერთვებოდნენ საგაკვეთილო პროცესში, აღარ სურდათ კლასგარეშე ლიტერატურის, კლასგარეშე აქტივობების შესრულება, ზოგიერთი მათგანი პროტესტს გამოთქვამდა დამატებით დავალებების შესრულებაზე, შეფასების მიღების შემდგომ, კიდევ უფრო მეტად ეკარგებოდათ მოტივაცია, შევამჩნიე, რომ ზოგიერთი მოსწავლე არ მისმენდა ყურადღებით, გონება გაფანტულია.

პრობლემას აქტუალურად მივიჩნევდი და დღესაც მგონია, რომ საკმაოდ აქტუალურია, რადგან, როგორც წესი, თუ არ გაიზარდა მოსწავლეებში ისტორიის შესწავლის მოტივაცია შესაძლებელია მომავალში მოსწავლეს საერთოდ გაუქრეს ისტორიის შესწავლის სურვილი. ეს პრობლემა კი მოსწავლეებს მაღალ კლასებში კიდევ უფრო მეტად შეუშლიდა ხელს, საგნის სრულყოფილად დაუფლებაში.

აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად, ინტერვენციის დაგეგმვამდე, საჭირო იყო ჩამომეყალიბებინა პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზები.

თავდაპირველად, მოსწავლეებს შევთავაზე კითხვარი, რომლითაც შევძლებდი დაბალი მოტივაციის მიზეზის დადგენას. ასევე ამ პრობლემასთან დაკავშირებით გავესაუბრე პედაგოგებს, რომლებიც ასწავლიდნენ ამავე კლასში, სხვადასხვა საგანს (*იხ. დანართი 1*). რათა დამედგინა, რამდენად აწყდებიან ჩემი კოლეგები იმავე პრობლემას, აღნიშნულ კლასთან მუშაობისას. შევთავაზე მათ კითხვარი (*იხ. დანართი 2*). მასწავლებლებისგან მივიღე ინფორმაცია, რომ ისინიც მეტ-ნაკლებად იმავე პრობლემას აწყდებიან კლასთან მუშაობისას. ასევე ზოგადად მიმოვიხილეთ მოტივაციის საკითხი და მოტივაციის ამაღლების გზები. კოლეგებთან გასაუბრებისა და მოსწავლეებზე სამუშაო პროცესში დაკვირვების შედეგად, მოტივაციის დაბალი დონის პრობლემის გამომწვევი შემდეგი სავარაუდო მიზეზები გამოვკვეთე:

✓ ვრცელი ინფორმაცია/მასალის სირთულე – დაწყებით საფეხურზე, მოსწავლე შეისწავლის საქართველოს ისტორიას, ეთნოგრაფიას და გეოგრაფიას. მასალა შედარებით ადვილია ასათვისებლად. მშობლებიც უფრო აქტიურები არიან და ზრუნავენ მოსწავლეთა სწავლის ხარისხზე. მაგრამ საბაზო საფეხურზე, როდესაც დაიწყეს მსოფლიო ისტორიის როგორც დამოუკიდებელი საგნის შესწავლა, გაურთულდათ მასალის დამლევა. მოსწავლეებს შეექნათ დაბრკოლება, ამდენი ინფორმაციის ლაბირინთში, დაემახსოვრებინათ ის ფაქტი და მოვლენა, რომელსაც მათ სახელმძღვანელო სთავაზობდა. მოსწავლემ ვერ დამლია მასალა, საგანი რთულად ასათვისებლად მიაჩნია, დაეკარგა მოტივაცია და შეწყვეტა ისტორიის შესწავლა.

✓ ტრანფერის უნარის არქონა – მოსწავლეს არ აქვს ტრანსფერის უნარი. წინა პრობლემიდან გამომდინარე, გაუჭირდა ვრცელი ინფორმაციის დამუშავება, შესაბამისად, ის ინფორმაცია რაც მან მიიღო, საგაკვეთილო პროცესში, ვერ დააკავშირა ეპოქასთან, მსგავს თემებთან.

✓ მოსწავლისთვის გაუგებარია წაკითხული ტექსტის შინაარსი – შემდეგ საფეხურზე გადასულ მოსწავლეს სხვა სტანდარტები წაეყენება, თუმცა არ აქვთ მეტაკოგნიტური უნარები. ისევე როგორც კრიტიკული აზროვნება, ასევე მეტაკოგნიცია ადამიანისაგან მოითხოვს პრობლემის იდენტიფიცირებას, სირთულის დადგენასა და შემდეგ დამლევის სტრატეგიების შემუშავებას. ტექსტის წაკითხვისას მოსწავლემ შეიძლება აღმოაჩინოს, რომ მისთვის გაუგებარია წაკითხული ტექსტის შინაარსი, ვერ შეასრულა მოცემული დავალება ან წყარო სათანადოდ ვერ დაამუშავა.

✓ გარდატეხის ასაკი – ჩემი დაკვირვებით მოსწავლეთა მოტივაციის დაბალი მაჩვენებლის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს აგრეთვე მოსწავლეთა გარდატეხის ასაკი, როცა მოსწავლეებს სხვა ინტერესები უჩნდებათ და ნაკლებად აინტერესებთ სწავლა. პარალელურად აქვთ ყურადღების დეფიციტი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აღნიშნული კვლევის მიზანია– გამოკვეთოს მოსწავლეებში მოტივაციის დაქვეითების მიზეზები და შესაბამისად დავეგემოთ მოტივაციის ამაღლების გზები.

საჭიროა, ისტორიის გაკვეთილზე იმ მეთოდების დანერგვა, რომლებიც გაზრდის მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხს, შექმნის მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებულ საგაკვეთილო პროცესს, და დაეხმარება მასწავლებლებს და მოსწავლეებს აკადემიური შედეგების გაუმჯობესებაში, მოტივაციის ამაღლებაში.

საკვლევი საკითხი და დაგეგმილი ინტერვენციები ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. როგორც ეროვნულ სასწავლო გეგმაში ვკითხულობთ (ეროვნული სასწავლო გეგმა (2011-2016წწ)) :

- „მოსწავლის მოტივაციის გაზრდა მნიშვნელოვანი პედაგოგიური ამოცანაა“.
- „თანამედროვე საგანმანათლებლო პროცესი მოითხოვს მოსწავლეების მხრივ განსაკუთრებულ აქტიურობას. ეს გულისხმობს მოსწავლეების მიერ არა მხოლოდ აქტიურ მონაწილეობას განათლების მიღების პროცესში, არამედ თანატოლების სწავლის პროცესში მონაწილეობასაც.“
- „მასწავლებელს სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად უშუძლია კლასგარეშე საქმიანობის დაგეგმვა მოსწავლეთა მოტივაციის, სწავლისა და მრავალმხრივი განვითარებისათვის“

ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ განხორციელებული ინტერვენციები კვლევის პროცესში ჩართული სამიზნე ჯგუფისთვის არ შეიცავდა არანაირ რისკს. რომ კვლევაში ჩართული მოსწავლეები და მათი მშობლები, ინფორმირებულები იყვნენ ჩვენი მიზნებისა და საქმიანობის შესახებ. კვლევის ფარგლებში მოპოვებული პირადი მონაცემები მოსწავლეებისა თუ მათი მშობლებისა იქნება მხოლოდ ზოგადი დასკვნების ფორმატში გაანალიზებული და არ დაექვემდებარება ინდივიდუალურ გამოქვეყნებას.

საბოლოო ჯამში, პრობლემა საკმაოდ მწვავედ დგას. საკვლევი საკითხი და დაგეგმილი ინტერვენციები ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.

შესაბამისად, დასახული მიზნის სწორი გზით განხორციელების შემთხვევაში მოსწავლეთა მოტივაცია გაიზრდება, სწავლის პროცესი კი უფრო საინტერესო და აქტიური გახდება.

ლიტერატურის მიმოხილვა

წინამდებარე თავში განხილული იქნება მოტივაციის შესახებ არსებული მოსაზრებები, აღნიშნული თემატიკის გარშემო კომპეტენტური პირების შეხედულებები.

პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ, თუ როგორ განვმარტავთ მოტივაციას. მოტივაციის შესახებ, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, გამოცემულ სახელმძღვანელოში ვკითხულობთ, რომ „**მოტივაცია** ეს არის შინაგანი მდგომარეობა, რომელიც აღძრავს, წარმართავს და უზრუნველყოფს ქცევას“. (მელიქიშვილი, 2013ბ :7)

მოტივაციის ამაღლების ტექნოლოგიებზე განათლების თეორეტიკოსები საკუთარ მოსაზრებებს გვთავაზობენ. მათ ბევრი საერთო და განსხვავებული მიდგომა აქვთ.

როგორც „ჰუმანისტური თეორია“-ში ვკითხულობთ, ჰუმანისტური ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელის, ამერიკელი ფსიქოლოგის, აბრამ მასლოუს აზრით არსებობს მოტივაციის ორი ფორმა- შინაგანი და გარეგანი მოტივაცია. „შინაგანი მოტივაცია - ისეთი მოქმედების განხორციელების სურვილი რომელიც ადამიანს სიამოვნებას ანიჭებს. ასეთი მოტივაციის მქონე ადამიანები საქმეს შემოქმედებითად უდგებიან, ცდილობენ, მიიღონ სიამოვნება თვითსაქმიანობის პროცესისაგან, დაიკმაყოფილონ ინტერესი, იპოვონ თვითგამოხატვის საშუალება და იგრძნონ აზარტი. გარეგანი მოტივაცია- ესაა სწრაფვა, სურვილი, განახორციელო გარკვეული მოქმედება, რათა გარემოდან მიიღო წახალისება ან თავი აარიდო დასჯას“. (ჯალიაშვილი, 2012: 5-6.)

ჩვენთვის ასევე საინტერესოა, ასაკობრივი ფაქტორი, რადგან, როგორც აღინიშნა, მეშვიდე კლასი ეს გახლავთ გარდამავალი ეტაპი ბავშვის ცხოვრებაში. უმცროს სასკოლო ასაკში სწავლის წამყვანი მოტივია მაღალი შეფასება. მაღალი შეფასება პატარა მოსწავლისათვის არის ემოციური კეთილდღეობის, სიამაყის განცდის, საკუთარი ძალების რწმენის წყარო. ამასთანავე, ვხდებით სწავლის სხვა მოტივებსაც. შინაგანი მოტივები: შემეცნებითი მოტივი-ცოდნის მიღების სურვილი; სოციალური მოტივი-სურს იყოს განათლებული; მიღწიოს წარმატებას, პრესტიჟს; იყოს საზოგადოებისათვის სასარგებლო. გარეგანი მოტივი-სწავლობს კარგად, რათა

მიიღოს არა ცოდნა, არამედ ჯილდო კარგი ნიშანი, მასწავლებლის შექება. ამ ასაკში ყალიბდება ის პიროვნული თვისებები, რომლებიც შემდეგ მოზარდობის ასაკში გამოვლინდება. პირველ რიგში ეს არის მიღწევის მოტივაცია, რომელიც ვითარდება უმცროს სასკოლო ასაკში და მოზარდობაში თავს იჩენს, როგორც პიროვნული მახასიათებელი. (მელიქიშვილი, 2013ა: 37)

მოზარდობის ასაკში მნიშვნელოვანი ცვლილებები მიმდინარეობს სასწავლო – შემეცნებითი მოტივების განვითარებაშიც. მოტივები, რომლებსაც წამყვანი ადგილი ეკავათ უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის აქტივობაში, მოზარდისათვის მნიშვნელოვანი აღარ არის. რაც შეეხება შემეცნებითი მოტივების განვითარებას, აქ შეიძლება მოზარდების სამი ჯგუფი გამოვყოთ – ფართე შემეცნებითი ინტერესების მქონე მოსწავლეები, ცალკეული საგნების შესწავლის ინტერესის მქონე მოსწავლეები და გაურკვეველი, ცვლადი, სიტუაციური შემეცნებითი ინტერესის მქონე მოსწავლეები (მელიქიშვილი, 2013ა: 65–66)

ასევე, უნდა აღვნიშნოთ, რომ შინაგანი მოტივაციის ფორმაა მიღწევის მოტივაცია. ფსიქოლოგი ჰენრი მიურეი (1938), მიღწევის მოტივაციას განსაზღვრავს, როგორც მისწრაფებას შეასრულო დასახული ამოცანა, ფლობდე უნარებს ან იდეებს, მიაღწიო დასახულ მიზანს და მაღალ სულიერ და მატერიალურ დონეს. კვლევებმა აჩვენა რომ ადამიანები, რომლებსაც მიღწევის მოტივაციის დაბალი დონე ახასიათებთ, დავალებების არჩევისას ირჩევენ ან ძალიან იოლ დავალებებს, სადაც მარცხი ნაკლებ სავარაუდოა, ან ძალიან ძნელ დავალებებს, სადაც მარცხი სრულიად აშკარაა. ის მოსწავლეები, რომელთაც დაბალი აქვთ მიღწევის მოტივაცია, ამჟღავნებენ ნაკლებ დაჟინულობას კარგი ნიშნების მისაღებად, შემდგომში – სამსახურის შესანარჩუებლად და ა.შ. ხოლო მაღალი მოტივაციის შემთხვევაში ირჩევენ ზომიერად რთულ დავალებებს, სადაც წარმატება მიღწევადია, მაგრამ დაკავშირებულია მათ შესაძლებლობებსა და ძალისხმევასთან. (ჯალიაშვილი, 2012: 6–7)

ამის საპირისპიროდ, ბიჰევიორისტები არ საუბრობენ მიღწევის მოტივაციაზე, ვინაიდან უარყოფენ ცნობიერებას, როგორც ფსიქოლოგიის შესასწავლ საგანს, თუმცა მათ გარკვეული წვლილი მაინც შეიტანეს მიღწევის მოტივაციის შესწავლაში. კერძოდ, ნეობიჰევიორისტმა სკინერმა დიდი წვლილი შეიტანა მიღწევის მოტივაციის გარეგანი სტიმულირების შესწავლაში, მან შეიმუშავა ადამიანის ქცევის

მოდულიზაციის მეთოდები, რომლებიც ძალიან პოპულარულია, თანამედროვე ფსიქოლოგებთანაც, აღნიშნული მეთოდები ეყრდნობა სკინერის იდეებს პოზიტიურ/ნეგატიურ განმტკიცებასა და დასჯაზე, მათ გავლენას ქცევის მოტივაციაზე და შესაბამისად ქცევის ეფექტურობაზე. (მელიქიშვილი, 2013ბ: 23)

ასევე საყურადღებოა, განათლების ტექნოლოგიების სპეციალისტის ჯონ კელერის მიერ ჩამოყალიბებული მოდელი, რომელიც გულისხმობს მოტივაციის გაკვეთილის გეგმაში ჩაშენებას. „ამ მოდელის ავტორი ყურადღებას 4 ძირითად ფაქტორზე ამახვილებს, რომლებსაც ემყარება მოტივაცია. ესენია: ყურადღება, აქტუალობა, თავდაჯერებულობა, კმაყოფილების განცდა. კელერის აზრით, ეს ოთხი კატეგორია ქმნის იმ პირობების ერთობლიობას, რომელიც აუცილებელია ადამიანისათვის, რომ მოტივირებული იყოს“ (კაპანაძე, 2016)

შესაბამისად, მაღალი მოტივაციის ქონა, არამხოლოდ სასკოლო ასაკშია მნიშვნელოვანი ასპექტი, მასზეა დამოკიდებული ადამიანის შემდგომი პროფესიული განვითარებაც.

ა. ბანდურას სოციალურ-კოგნიტური თეორიის თანახმად, ადამიანმა შეიძლება ისწავლოს სხვაზე დაკვირვებით. როგორც აღნიშნავს, ამისთვის საჭიროა: ყურადღება, დამახსოვრება, განმეორება და მოტივაცია. ხოლო, „თვითეფექტიანობის მაღალი დონე ხელს უწყობს მოტივაციას. ბავშვები და უფროსები რომლებიც მომავალს ოპტიმისტურად უყურებენ, გონებრივად და ფიზიკურად უფრო ჯანმრთელები არიან და უფრო მეტი მოტივაცია აქვთ მიზნის მისაღწევად.“ (მელიქიშვილი, 2012: 28)

ამავე თემაზე საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს დიუიცი, რომელიც ასევე ეხება ისტორიის სწავლების საკითხსაც. ჯ. დიუის აზრით აღზრდისა და სწავლების დროს ბავშვს უნდა მივაწოდოთ არა თეორიული ცოდნა, არამედ კონკრეტული, პრაქტიკული საქმეები, სადაც ბავშვები არა მარტო შეიმეცნებენ სამყაროს, არამედ სწავლობენ ერთად მუშაობას და სირთულეების დაძლევას. აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვან საგნებად ჯ. დიუი მიიჩნევდა ისტორიასა და გეოგრაფიას, რომელიც დაკავშირებულია ერთდროულად როგორც ბუნებასთან, ასევე საზოგადოების სოციალურ ცხოვრებასთან. სკოლა უნდა იყოს სახელოსნო, ლაბორატორია, სადაც უმეტესი ადგილი და დრო უნდა დაეთმოს „კეთებას“ და არა „მოსმენას“. ჯ. დიუი თვლიდა, რომ სწავლების ტრადიციული სისტემა ანგარიშს უწევს ბავშვის მოთხოვნილებებსა და განვითარების თავისებურებებს. ამის

საფუძველზე შედგენილმა სასწავლო პროგრამებმა და სახელმძღვანელოებმა კი შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის უარყოფითი დამოკიდებულება სწავლისადმი. ბავშვის ბუნებრივი მიდრეკილება შემეცნებისადმი განიცდის დეფორმაციას, შეფასების სისტემასა და გამოცდების გამო. სახელმძღვანელოში მოცემულია ბევრი აბსტრაქტული ფაქტი, რომელიც ბავშვმა უნდა ისწავლოს და რომელიც ხშირად მისთვის გაუგებარია. (მელიქიშვილი მანანა. 2013გ: 29)

საბოლოო ჯამში, სწავლის მოტივაცია არის ტენდენცია განახორციელო მნიშვნელოვანი და ღირებული აკადემიური აქტივობები და მიიღო მათგან სარგებელი.

მოსწავლეთა სწავლის მოტივაცია თანამედროვე სკოლის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს. მოსწავლის აკადემიურ მოსწრებას განაპირობებს არამხოლოდ მოსწავლეთა უნარები და შესაძლებლობები, არამედ სწავლისა და სწავლების სხვადასხვა კომპონენტი, მათ შორისაა მასწავლებელთა კვალიფიკაცია, სწავლების მეთოდები, სახელმძღვანელოების ხარისხი, სასწავლო გეგმა და ა.შ.

ამგვარად, სწავლის სხვადასხვა მოტივი არსებობს, მიღწევის მოტივაციის გარშემოც სხვადასხვა მოსაზრებები გამოიკვეთა. საბოლოო ჯამში, თეორეტიკოსები გვთავაზობენ მოტივაციის გაკვეთილის გეგმაში ჩაშენებას. სკოლა უნდა იყოს სახელოსნო, ლაბორატორია, სადაც უმეტესი ადგილი და დრო უნდა დაეთმოს „კეთებას“ და არა „მოსმენას“, როგორც დიუის თეორიის ძირითად იდეებში ვკითხულობთ, „ღირებულია მხოლოდ ის, რაც იძლევა პრაქტიკულ შედეგს“. (მელიქიშვილი, 2013გ: 22)

შემდეგ თავში უფრო დეტალურად განვიხილავთ კვლევის პრაქტიკულ ნაწილს, კერძოდ კვლევის მეთოდებსა და ინსტრუმენტებს.

კვლევის მეთოდები და ინსტრუმენტები

წინამდებარე თავში განხილული იქნება კვლევის მიზანი, ამოცანები, მეთოდები და ინსტრუმენტები, სამიზნე ჯგუფი, დრო, რესურსი, განმახორციელებელი პირები.

თავდაპირველად, უნდა აღინიშნოს, კვლევის მიზანია გამოვკვეთოთ მოსწავლეებში მოტივაციის დაქვეითების მიზეზები და შესაბამისად, დავგეგმოთ მოტივაციის ამაღლების გზები.

დასახული მიზნიდან გამომდინარე, სასურველია კვლევამ, უპასუხოს შემდეგი ტიპის კითხვებს:

- ზოგადად, მოსწავლეებს რა უშლით ხელს, აქტიურად იყვნენ ჩართული სწავლების პროცესში?
- რა თემები/ აქტივობებია მათთვის საინტერესო, რომელთა შესწავლაც მათ ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში უფრო აქტიურს გახდის?
- რა ინტერესები აქვთ მოსწავლეებს და როგორ მოვახდინოთ საგაკვეთილო პროცესის მოსწავლეთა ინტერესებზე მორგება?

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს :

- სსიპ ქ.ბათუმის №6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის მე-7 „ა“ კლასის, 34 მოსწავლე
- საზოგადოებრივი მეცნიერებათა კათედრის მასწავლებლები

კვლევის სანდოობის გაზრდისა და მონაცემთა შეგროვების მიზნით, ემპირიული მონაცემების მოსაგროვებლად გამოყენებულ იქნა შერეული მეთოდოლოგია, რიცხვობრივი და ვერბალური მონაცემები, რათა მოგროვდეს სრული და სანდო ინფორმაცია. შესაბამისად, მთლიანი სურათის მისაღებად გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების კომბინაცია. კვლევის თვისებრივი მეთოდები მიზნად ისახავს საკვლევი საგნის სიღრმისეულ, ხარისხობრივ შესწავლას, ხოლო რაოდენობრივი მეთოდები ადგენს შესასწავლი საგნის რაოდენობრივ გავრცელების სურათს.

კვლევისას გამოვიყენე შემდგომი ინსტრუმენტები. თვისებრივი კვლევის შემთხვევაში – დაკვირვება და ფოკუს ჯგუფი, ხოლო რაოდენობრივი კვლევის შემთხვევაში – ანკეტირება.

მეთოდები:

- **თვისებრივი:** დაკვირვება (34 მოსწავლე); ფოკუს ჯგუფი (საზოგადოებრივი მეცნიერებათა კათედრის მასწავლებლები).
- **რაოდენობრივი:** ანკეტირება (34 მოსწავლე).

კვლევის პირველ ეტაპზე საკვლევი საკითხის შესასწავლად მივმართე დაკვირვების მეთოდს, რათა უფრო კონკრეტულად ჩამომეყალიბებინა პრობლემის არსი და ყურადღება გამემახვილებინა მნიშვნელოვან ასპექტებზე. დაკვირვების ხანგრძლივობა მოიცავდა ერთ თვეს. გამომდინარე იქედან, რომ უკეთ გამეგო პრობლემის არსი და დაკვირვებოდი დეტალებს.

ამის შემდგომ, ჩავატარე ფოკუს ჯგუფი მასწავლებლებში. ფოკუს ჯგუფი ჩატარდა საზოგადოებრივი მეცნიერებათა კათედრის პედაგოგებში. შემუშავდა შესაბამისი კითხვარი, რომელიც შედგებოდა 4 კითხვისგან (*იხ. დანართი 4*) და ფოკუს-ჯგუფის ხანგრძლივობა არ აღემატებოდა 1 საათს.

თვისებრივი კვლევისთვის რესპოდენტთა ამ კატეგორიის შერჩევა განპირობებული იყო იმით, რომ მასწავლებლები წარმოადგენენ საკითხის მოგვარებით დაინტერესებულ მხარეს, ასევე მათ აქვთ მრავალწლიანი გამოცდილება აღნიშნულ სფეროში მუშაობისა. საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის წარმომადგენლებს აქვთ სპეციფიკური ცოდნა სახელმძღვანელოების, სწავლების მეთოდების, საგნის შინაარსის შესახებ მათი პრაქტიკული ცოდნის გაზიარება კი საინტერესო შეიძლება აღმოჩნდეს კვლევის შემდგომი განვითარებისთვის. ხოლო ფოკუს-ჯგუფი საუკეთესო გზად მივიჩნიე მასწავლებელთა მხრიდან შეხედულებების ურთიერთგაზიარებისთვის, მსჯელობის პროცესში შესაძლებელია დაბადებულიყო ინოვაციური იდეები.

მესამე ეტაპზე, რაოდენობრივი კვლევის ჩასატარებლად გამოვიყენე ანკეტირება. რაოდენობრივი კვლევისას მომზადდა 11 კითხვარი, რომელშიც შედიოდა როგორც დახურული, ისე ღია კითხვებისაგან. კითხვარის შევსების ხანგრძლივობა არ აღემატებოდა 15–20 წუთს (*იხ. დანართი 5*).

ანკეტირების საშუალებით მოსწავლეებს მივეცი საშუალება, თავისუფლად დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები, არ ყოფილიყვნენ გარე ფაქტორებით შეზღუდულები, გარდა ამისა, კლასში მოსწავლეების უმეტესობას კარგად აქვს განვითარებული წერითი უნარები და შეუძლიათ თავიანთი აზრის წერილობითი

ფორმით უკეთ ჩამოყალიბება.

აღსანიშნია, კვლევის ჩატარებამდე, მშობლებს ვთხოვე თანხმობა, რომ მათი შვილები ჩამერთო კვლევის პროცესში და მივიღე წერილობითი პასუხები (იხ. *დანართი 3*). შესაბამისად, კვლევაში ჩართული მოსწავლეები და მათი მშობლები, ინფორმირებულები იყვნენ ჩვენი მიზნებისა და საქმიანობის შესახებ, რომ კვლევის ფარგლებში მოპოვებული პირადი მონაცემები მოსწავლეებისა თუ მათი მშობლებისა იქნებოდა მხოლოდ ზოგადი დასკვნების ფორმატში გაანალიზებული და არ დაექვემდებარებოდა ინდივიდუალურ გამოქვეყნებას.

კვლევის ვადების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ – *დანართ 6-ში*.

კვლევის შედეგები/მონაცემთა ანალიზი

აღნიშნული თავი მოიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა ფაქტორები გამოიკვეთა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით, ასევე რა აღმოჩენები და ტენდენციები იქნა გამოკვეთილი, კვლევის შედეგად.

❖ კვლევის დაწყებისას, პირველი თვის განმავლობაში დაკვირვების მეთოდს აქტიურად ვიყენებდი. ჩემი მიზანი იყო კლასის არსებული ცოდნისა და განვითარების აქტუალური ზონის შესწავლა. ვცდილობდი გულდასმით შემესწავლა მოსწავლეების დამოკიდებულება სწავლის მიმართ და მთავარი პრობლემის იდენტიფიცირება მომეხდინა.

ჩემ მიერ ჩატარებული დაკვირვების პროცესის შედეგად, მივიღე შემდეგი ტიპის ინფორმაცია.

მოტივაციის არ ქონა შესამჩნევია შემდეგ ასპექტებში: პირველ რიგში, შევამჩნიე, რომ მოსწავლეები წინა წლებთან შედარებით, ნაკლები ხალისით ერთვებოდნენ საგაკვეთილო პროცესში, აღარ სურდათ კლასგარეშე აქტივობების შესრულება, მოსწავლეები გაკვეთილის პროცესში არ იყვნენ აქტიურად ჩართულები (წინა წელთან შედარებით), განსაკუთრებით ნაკლები ინტერესი შევამჩნიე სტანდარტულად გაკვეთილის მოყოლისას, შეფასების მიღების შემდგომ კიდევ უფრო მეტად ეკარგებოდათ მოტივაცია, შევამჩნიე, რომ ზოგიერთი მოსწავლე არ მისმენდა ყურადღებით, გონებაგაფანტული იყო... წყაროზე მუშაობისას, დავაკვირდი რომ მოსწავლეთა ნაწილი წყაროს ბოლომდე არ კითხულობდა და რომ უჭირდათ წაკითხულიდან აზრის გამოტანა, ასევე მოსწავლეების ნაწილს უჭირდა ფაქტებისა და მოვლენების ერთმანეთთან დაკავშირება, ასევე ნაკლებად იყვნენ მოტივირებულნი შეესრულებინათ სხვა ტიპის დამატებითი აქტივობებიც...

შევამჩნიე, გარკვეული მოსწავლეების განსაკუთრებული პასიურობა (სხვებთან შედარებით), ასევე დავაკვირდი და დაახლოებით, მოვინიშნე ის თემები და მეთოდები, რომლებიც შეიძება მოსწავლეებში ნაკლებ საინტერესო ყოფილიყო.

გარდა ამისა, ჩემი დაკვირვების შედეგად, ნაკლები ინტერესის მიზეზი, კვლევის საწყის ეტაპზე გამოიკვეთა. გამომდინარე იქიდან, რომ წლების განმავლობაში, გაცილებით დიდ ყურადღებას საგაკვეთილო პროცესში ვუთმობდი

ტექსტში მასალის დამახსოვრებას და წყაროს ანალიზს, გადავხედე რა საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკას, დავრწმუნდი, რომ აუცილებლად უნდა შემეცვალა მუშაობის ფორმები. პირველ რიგში, საგაკვეთილო ფორმატში ჩამერთო მათ უნარებზე, შესაძლებლობებსა და ინტერესებზე მორგებული მასალა; ისეთი მრავალფეროვანი, საინტერესო და მხიარული აქტივობები, რომელიც მოსწავლეს მისცემდა საშუალებას, ტექსტის წაკითხვის შემდეგ, თავადვე გაეანალიზებინა, გამოეტანა დასკვნები. ყოველივე ეს კი აუცილებლად გამოიწვევდა მოსწავლეებში მიტივაციის ამაღლებას.

❖ ამის შემდგომ დავიწყე მზადება ფოკუს-ჯგუფისთვის. **ფოკუს-ჯგუფი** ჩავატარე საზოგადოებრივი მეცნიერებათა კათედრის მასწავლებლებთან, რათა გამეგო მათი შეხედულებები სხვადასხვა მიმართულებით (სწავლების მეთოდები, შეხედულებები სახელმძღვანელოს შესახებ და ა.შ.), გამომდინარე იქიდან რომ მათ აქვთ სხვადასხვა დროს მეშვიდე კლასებში მუშაობის გამოცდილება, პრაქტიკა. ფოკუს-ჯგუფის მოდერატორი ვიყავი მე, საუბარი წარიმართა სხვადასხვა მიმართულებით, წინასწარშემუშავებული ძირითადი თემების გარშემო: მოტივაციის შეფასება, რესურსები და მეთოდები, მოტივაციის ამაღლების გზები. შესაბამისად დაისვა კითხვები 4 მიმართულებით (იხ. დანართი 4).

- კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ მოტივაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს აწყდებიან სხვა მასწავლებლებიც. ისინი აღნიშნავენ, რომ დაწყებითი საფეხურიდან საბაზო საფეხურზე გადასვლისას მოტივაციის პრობლემა აქტიურად დგას და მასწავლებლები ერთხმად აღიარებდნენ ამ პრობლემის არსებობას. აღსანიშნავია, რომ გეოგრაფიის მასწავლებელმაც იგივე პრობლემას გაუსვა ხაზი.

- მეორე კითხვაზე, თუ რა განაპირობებს მოსწავლეებში მოტივაციის დაბალ ან მაღალ დონეს, ფოკუს-ჯგუფის მსვლელობისას ყველაზე მეტი აზრთასხვადასხვაობა გამოიწვია, იმ აზრმა, რომ ნიშანი არ შეიძლება იყოს მოტივაციის განმსაზღვრელი. მასწავლებელთა ერთი ნაწილი აღნიშნავს რომ ნიშანი მოტივაციაზე გავლენას ახდენდა მე-5 და მე-6 კლასებში, ხოლო მე-7 კლასში, ეს ნაკლებმნიშვნელობვანი ფაქტორია მოსწავლეთათვის. ხოლო მასწავლებელთა მეორე ნაწილი, თვლის რომ მოსწავლეთათვის ნიშანი სწავლების ყველა საფეხურზე მნიშვნელოვანია და შესაბამისად, ახდენს გავლენას მოტივაციის ხარისხზეც.

- სახელმძღვანელოს შეფასებისას, მასწავლებლები ასევე თანხმდებიან მის

სირთულეზე და პრობლემას ხედავენ სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ, აღნიშნავენ რომ სახელმძღვანელო რთული ენითაა დაწერილი, რომ „ზღვა“ მასალაა, ასევე პრობლემაა თემატიკის შერჩევისა და ქრონოლოგიურად დალაგების მიმართულებითაც. როგორც ერთი ნაწილი აღნიშნავს, თემატიკა არ არის უინტერესო მაგრამ მოვლენები არ ვითარდება ქრონოლოგიურად და ისწავლება სხვადასხვა ისტორიული პერიოდი ნაწილ-ნაწილ, რაც აღქმას უშლის ხელს :

„მე-7 კლასში მე მაქვს ასეთი პრობლემა. არ არის ცუდი სახელმძღვანელო, საინტერესო თემატიკაა, მაგრამ ისწავლება ნაწყვეტ-ნაწყვეტ, მაგალითად, შუა საუკუნეების ეპოქა, ფრანკთა სამეფო, გერმანია, ინგლისი... შემდეგ ისევ ისწავლება იგივე ქვეყნები გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი... როგორც დავაკვირდი, და ჩემი გამოცდილებით დავასკვენი, სჯობს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ვასწავლოთ, უფრო გასაგები იქნებოდა, სანამ მეორე ეპოქა მოვიდა დაავიწყდა მოსწავლეს წინა ეპოქა და ნასწავლი ველარ დააკავშირა ერთმანეთს...“ (ისტორიის მასწავლებელი)

შესაბამისად, მოტივაციაზე, მათი აზრით, სახელმძღვანელოს ფაქტორიც შეიძლება ახდენდეს გავლენას. როგორც გამოიკვეთა აღნიშნული პრობლემის წინაშე დგანან საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის სხვა მასწავლებლებიც, კერძოდ გეოგრაფიის მასწავლებელიც.

- შემდეგ კითხვაზე, როგორ შეიძლება მოტივაციის დონის გაზრდა და მიღწეული შედეგის შენარჩუნება, მასწავლებლებმა გამიზიარეს თავიანთი გამოცდილება ამ მიმართულებით. კერძოდ, გამოითქვა მოტივაციის ამაღლების შემდეგი საშუალებები: მოსწავლეთა სასწავლო ღონისძიებებში ჩართვა, პროექტული სწავლება, ბუნებაში გასვლა, კლასებში კონკურსების ჩატარება, დამატებითი სახელმძღვანელოების შემოტანა, მასწავლებლის მხრიდან შექება და ა.შ. ერთ-ერთმა მასწავლებელმა, თავისი გამოცდილებიდან, გამიზიარა კონკრეტული მაგალითიც :

„მაგალითად, ერთ-ერთი მოსწავლე კლასში სულ იჯდა მდუმარედ, არ იყო აქტიური და საგაკვეთილო პროცესში ჩართული... იყო შემთხვევა რომ დავავალე პრეზენტაციის გაკეთება, გამაოცა, წარმოადგინა არნახული პრეზენტაცია, აღმოჩნდა რომ მას განვითარებული აქვს ტექნიკური უნარები... იმის მერე მივხვდი, ამ ბავშვთან როგორ უნდა მემუშავა, გამომდინარე იქედან, რომ მას განვითარებული აქვს სხვა უნარები. აკადემიურ ნაწილსაც

მშენივრად გაართვა თავი, ასეთი აქტივობები უფრო აინტერესებს... ანუ დავაკვირდი, შევცვალე მიდგომა და მივიღე შედეგი“ (ისტორიის მასწავლებელი)


მასწავლებლები საუბრობენ მოტივაციის გზების გაზრდის და შედეგის შენარჩუნების სხვადასხვა გზებზე

„ხშირად უნდა იქნეს გამოყენებული სხვადასხვა მეთოდი, მოგზაურობა, თამაშები, სპექტაკლის დადგმა... მაგალითად, ჩემს მოსწავლეებს ვთავაზობ ფილმების ნახვას ან წიგნების წაკითხვას... მთელმა კლასმა თუ არა 10-მა ბავშვმა მაინც ნახა ის ფილმი და მომცა უკუკავშირი, საკითხში უფრო ღრმად ჩაიხედნენ“ (ისტორიის მასწავლებელი)


საბოლოო ჯამში, როგორც აღმოჩნდა მოსწავლეებში მოტივაციის დაბალ დონეს სხვა მასწავლებლებიც ხედავენ, როგორც თავად აღნიშნეს, მოტივაციის პრობლემა ყველა კლასში მეტ-ნაკლებად დგას, თუმცა მე-7 კლასში ამ პრობლემის დაძლევაზე მუშაობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. საუბარი შეეხო ნიშნების თემასაც, ახდენს თუ არა გავლენას, პასუხები ორნაწილად გაიყო. ინტერვიუს ბოლოს მასწავლებლებმა გამიზიარეს თავიანთი შეხედულებები, მოიყვანეს კონკრეტული მაგალითები და მივიღე უკუკავშირი, რომელიც საინტერესო შეიძლება აღმოჩნდეს აღნიშნულ საკითხზე მუშაობისას.

❖ მოსწავლეთა პოზიციის უკეთ გასაგებათ, თუ რა ფაქტორები ახდენს გავლენას ისტორიის სწავლების მოტივაციაზე, მოსწავლეები გამოვკითხე **ანკეტირების** გზით, ასევე აუხსენი რომ მიღებული ინფორმაცია ანონიმურია და არაა საჭირო კითხვარზე სახელისა და გვარის მითითება. კითხვარი შედგებოდა სულ 11 ღია და დახურული კითხვისგან. (იხ. დანართი 5)

- პირველ კითხვაზე, მოსწონთ თუ არა ისტორიის სახელმძღვანელო, მოსწავლეთა უმეტესობა- 59% (20 მოსწავლე), ამბობს რომ სახელმძღვანელო მოსწონს, 26%-სთვის (9 მოსწავლე) სასურველია დამატებით სახელმძღვანელო, ხოლო 15%-ისთვის (5 მოსწავლე) სახელმძღვანელო ნაკლებმნიშვნელოვანია. იხილეთ დიაგრამა:




• მეორე შეკითხვაზე, თუ როდის სწავლობენ მოსწავლეები უფრო ადვილად, მოსწავლეთა უმეტესობა ამბობს, რომ ჯგუფური მუშაობისას უფრო ადვილად სწავლობს (59%), 26% დამოუკიდებლად უკეთ სწავლობს, 12%—თამაშით სწავლობს მარტივად, სხვა პასუხის შემთხვევაში, მოსწავლეს შეეძლო დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია, და მივიღე შემდეგი პასუხები: „გაკვეთილზე ახსნით“ და „ჯგუფური სამუშაოთი და თამაშისას (ორივე შემთხვევაში)“. იხილეთ დიაგრამა:




• მესამე კითხვის შედეგების თანახმად, მოსწავლეებს უმეტესად, ისტორიის გაკვეთილზე შესვლისას დადებითი ემოცია ეუფლებათ (47%–16 მოსწავლე), ნეიტრალური განწყობა დააფიქსირა 32%–მა (11 მოსწავლე), არ ვიცი, არ მიფიქრია–21% (7 მოსწავლე), აღსანიშნია, რომ უარყოფითი


განწყობა არცერთ მოსწავლეს არ დაუფიქსირებია. იხილეთ დიაგრამა:



- მეოთხე კითხვაზე, ხართ თუ არა ჩართული თქვენი შესაძლებლობების მიხედვით საგაკვეთილო პროცესში, მოსწავლეთა 44%–პასუხობს „დიახ“ (15მოსწავლე), ასევე 44% (15 მოსწავლე) ამბობს, რომ ნაწილობრივია ჩართული, 6%–არ ვიცი (2 მოსწავლე), 6%–არა (2 მოსწავლე). იხილეთ დიაგრამა:



- მეხუთე კითხვაზე, გიჭირთ თუ არა ტექსტის ან წყაროს ბოლომდე წაკითხვა, მოსწავლეთა ნახევარზე მეტი ამბობს, რომ არ უჭირს (53%) (18 მოსწავლე), 32% (11 მოსწავლე) ამბობს, რომ ნაწილობრივ უჭირს, ხოლო 15% (5 მოსწავლე) ამბობს რომ უჭირს. იხილეთ დიაგრამა:



- მეექვსე კითხვა გახლავთ ღია ტიპის, „როგორი ტიპის დავალებებს ასრულებთ ხალისით?“, აღნიშნულ კითხვაზე საკმაოდ მრავალფეროვანი პასუხები მივიღე. ყველაზე ხშირად აღინიშნებოდა რომ მოსწონთ ჯგუფური სამუშაო, ტექსტის დამუშავება და T-სქემა. თუმცა ასევე მივიღე სხვა ტიპის პასუხებიც, მაგალითად, ის რომ ხალისით ასრულებენ: ვენის დიაგრამას, ტექსტიდან გამომდინარე კითხვების შედგენას, თემის/თხზულების დაწერას, წყვილებში მუშაობას, იმ ისტორიული პერსონის დახასიათებას, რომელიც მას მოსწონს... ასევე ერთ-ერთი მოსწავლის მიერ, აღნიშნული იყო ისიც რომ ყველა ტიპის დავალება შეუძლია შეასრულოს ხალისით თუმცა თემა არის მნიშვნელოვანი:

„მე ყველა ტიპის დავალებებს ვასრულებ ხალისით, ამის განმსაზღვრელი არის გაკვეთილის თემა, მაგალითად, თუ გაკვეთილი კარგად ვერ გავიგე, მაშინ ისე კარგად ვერ ვასრულებ დავალებებს, როგორც სხვა დროს“ (მოსწავლე)

- მეშვიდე კითხვა, როგორ ფიქრობთ სამომავლოდ რაში დაგეხმარებათ ისტორიის საგნის შესწავლა, აღნიშნული კითხვაც ღია ტიპისაა, და მიზნად ისახავს იმის გარკვევას თუ რამდენად არიან მოტივირებულები მოსწავლეები ისტორიის საგნის შესწავლით და რამდენად ხედავენ მის მნიშვნელობას. მოსწავლეებისგან მივიღე შემდეგი ტიპის პასუხები, თვლიან რომ დაეხმარებათ: პროფესიულ საქმიანობაში, განათლებაში, წინაპრების ისტორიის შესწავლაში, გამოცდების ჩაბარებაში, ადამიანების

წარმოშობის/წინაპრების ისტორიის გაგებაში, გამოადგებათ მკვლევარებსა და ისტორიკოსებს, არქეოლოგებს, შვილებს/შთამომავლობას გადასცენ ცოდნა, ტურისტებს გაუზიარონ ქვეყნის ისტორია, უნივერსიტეტში გამოადგებათ, სამოგზაუოდ. ასევე იყვნენ ისეთი მოსწავლეები, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ ისტორიის საგნის მნიშვნელობაზე ჯერ არ უფიქრიათ. ერთ-ერთი მოსწავლისგან მივიღე შემდეგი პასუხი:

„ საკუთარი ქვეყნის ისტორია კიდევ შეიძლება, მაგრამ მსოფლიო ისტორია არ ვიცი...“ (მოსწავლე)

მსგავსი ტიპის რამდენიმე პასუხი მივიღე, რაც საკმაოდ საყურადღებოდ მივიჩნიე.

- „როგორ ფიქრობთ, რომელ კლასში უფრო რთულია ისტორიის სწავლა მე-6 თუ მე-7 კლასში და რატომ?“-ეს კითხვაც ღია ტიპისაა, დავსვი გამომდინარე იქიდან, რომ გამეგო მათი შეფასება, უჭირთ თუ არა ისტორიის შესწავლა წინა წელთან შედარებით და რატომ, თუ რაში ხედავენ პრობლემას. მოსწავლეთა უმეტესობა აღნიშნავს, რომ მეშვიდე კლასში ისტორიის სწავლა გაცილებით რთულია და მოჰყავთ შემდეგი არგუმენტები, იმიტომ რომ : გაკვეთილების მოცულობა დიდია, ადრე მხოლოდ ერთი ქვეყნის ისტორიის შესწავლა უხდებოდათ, მე-7 კლასში უფრო მეტი მეფეები და წლებია მოცემული, უფრო ბევრ ეპოქას ვეხებით, მეტი შრომაა საჭირო.

„ისტორიის სწავლა მეშვიდე კლასში უფრო რთულია, რადგან ჩვენ ახალ პროგრამას ვსწავლობთ და უფრო დიდი მონაცემების გაკვეთილებს, გაკვეთილები უფრო რთული და ვრცელია“ (მოსწავლე)

ასევე ზოგიერთი მათგანი აღნიშნავს რომ რთულია, მაგრამ საინტერესო. იმათი ოდენობა, ვინც მე-6 კლასში ისტორიის შესწავლას უფრო რთულად მიიჩნევს გაცილებით ნაკლებია, მათ მოჰყავთ შემდეგი არგუმენტები, რომ მე-6 კლასში უხდებოდათ კულტურისა და წეს-ჩვეულებების შესწავლა, რაც გაცილებით რთული იყო მათთვის, მეექვსე კლასთან შედარებით, მეშვიდე კლასში ისტორიის შესწავლა გაცილებით უფრო საინტერესო იყო, მეექვსე კლასში ისტორია ახალი საგანი იყო ამიტომ აღმოჩნდა რთულად გასაგები. ასევე არიან ისეთი მოსწავლეები, რომლებიც ამბობენ რომ არცერთ კლასში ისტორიის შესწავლა არ იყო რთული. თუმცა მივიღე საპირისპირო

შეფასება:

„როდესაც მეექვსე კლასში ხარ მეექვსე კლასის ისტორია გერთულება, თუ მეშვიდეში მაშინ მეშვიდე კლასის დონე გერთულება, მაგრამ თუ გაიგებ და დაუკვირდები ძალიან მარტივი საგანია“ (მოსწავლე)


- მე-9 კითხვა, საგაკვეთილო პროცესში რომელ აქტივობებს დაამატებდით ან გამოიყენებდით უფრო ხშირად და რატომ– ღია ტიპის შეკითხვაა. ამ კითხვაზეც საკმაოდ მრავალფეროვანი პასუხები მივიღე, უმეტესად უკვე გაკვეთილზე დანერგილი მეთოდების უფრო ხშირად გამოყენებას ისურვებდნენ. ყველაზე ხშირად შემდეგი ტიპის დავალებებზე იყო მოთხოვნა: ვენის დიაგრამა, T-სქემა, „3,2,1“, ჯგუფური სამუშაო, „ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე“. გარდა ამისა მოსწავლეებს ასევე მოსწონთ: „თევზის ფხა“, ინფორმაციების მოძიება, თამაშები, „ნაყინი“, კითხვებზე პასუხი, ელექტრო რესურსების უფრო ხშირად გამოყენება. ეს ყველა აქტივობა გაკვეთილის პროცესში უკვე გამოყენებულია და შესაბამისად ჩემთვის ნაცნობი. ასევე იყვნენ ისეთი მოსწავლეებიც რომლებიც ამბობდნენ რომ „გაკვეთილი სრულყოფილია“ და არაფერს დაამატებდნენ. ასევე ერთ–ერთი მოსწავლისგან შემდეგი პასუხი მივიღე, რაც მიუთითებს იმაზე რომ სიახლეები და დიფერენცირებული სწავლება უყურადღებოდ არ რჩება:

„თამაშია, მასწავლებელმა ბურთით გვათამაშა, და ვისაც ესროდა იმას უნდა ეპასუხა კითხვაზე და ამას დავამატებდი მე, იმიტომ რომ სახალისოა და ყველა ვსწავლობთ გაკვეთილს“ (მოსწავლე)

- მეათე კითხვაზე, როგორ შეაფასებდით 10–ქულიანი სისტემით ისტორიის გაკვეთილს, მოსწავლეებს უნდა შემოეხაზათ 1–დან 10–მდე ნებისმიერი მათთვის სასურველი ქულა, ამით მათ საშუალება მიეცა შეეფასებინათ გაკვეთილი ისე, როგორც მე ვაფასებ მათ, ქულებით. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა უმეტესი ნაწილისგან (61,8%–21 მოსწავლე) მივიღე უმაღლესი შეფასება, 9 ქულით შემაფასა– 23,5 %-მა (8 მოსწავლე), 8 ქულა– 2,9% (ერთი მოსწავლე), ხოლო 7 ქულა–11,8% (4 მოსწავლე).

საბოლოო ჯამში, ქულები მერყეობდა 7–10–მდე ფარგლებში. მიღებული შედეგები დავთვალე და მივიღე საშუალო ქულა– **9.35**. საშუალოდ, სწორედ აღნიშნული ქულით აფასებენ მოსწავლეები ისტორიის გაკვეთილს. იხილეთ

დიაგრამა:



- მე-11 კითხვა, თქვენი აზრით, რა არის საჭირო იმისთვის რომ ისტორიის გაკვეთილი უფრო საინტერესო იყოს, მოსწავლეებს მივეცი შესაძლებლობა დაეფიქსირებინათ ის დეტალები, რომლებზეც წინა კითხვებში შეიძლება ყურადღება არ გაუმახვილებიათ. აღსანიშნავია, რომ მოსწავლეების უმეტესობა მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ სურს ყველა მოსწავლე გაკვეთილზე მოვიდეს მობილიზებული და თემა ჰქონდეს გააზრებული, როგორც აღნიშნავენ ასე გაკვეთილი უფრო საინტერესო იქნება. ასეთი არგუმენტიც მივიღე:

*„ჩემი აზრით, რომელი ბავშვებიც არ გვერთვება საგაკვეთილო პროცესში ისინიც რომ ჩაგვერთვეს, იმიტომ რომ შეიძლება მათაც განსხვავებული აზრიც ჰქონდეთ, რომელიც ჩვენ არ გვითქვამს“
(მოსწავლე)*

ასევე გამოიკვეთა სხვა ტიპის პასუხებიც, მაგალითად, მოსწავლეების ნაწილი მიუთითებს, რომ სურთ უფრო მეტი ჯგუფური სამუშაო

*„ჯგუფებად ჯდომა, ჯგუფური აქტივობები, რადგან არამგონია ყველა ბავშვმა იცოდეს ყველაფერი, ამიტომ ჯგუფი ერთად შეთანხმდება და სწორ პასუხსაც იტყვის“
(მოსწავლე)*

გარდა ამისა, იყო შემდეგი ტიპის პასუხებიც, საინტერესო იქნებოდა დამატებითი წიგნები, კიდევ მეტი სახალისო სავარჯიშო, სურთ უფრო მეტი საინტერესო თემა, მარტივი წყაროები და ტექსტი, ასევე მოსწავლეები მიუთითებენ პრეზენტაციების საჭიროებაზე და ელექტრონული სასწავლო რესურსების ხშირ გამოყენებას ისურვებდნენ. ასევე იყვნენ ის მოსწავლეებიც, რომლებიც ამბობენ, რომ მოსწონთ საგაკვეთილო პროცესი, არაფერს დაამატებდნენ, ზოგიერთი მათგანი მიუთითებს რომ ისტორიის გაკვეთილი სხვა გაკვეთილებთან შედარებით მათთვის უფრო საინტერესოა.

ამგვარად, კვლევის აღნიშნულ ეტაპზე, გამოიკვეთა გარკვეული ტიპის მიმართულებები, რომლებზეც შემდგომო მუშაობა და ყურადღების უფრო მეტად გამახვილება. ჩამოვყალიბე დასკვნები, მიგნებები და რეკომენდაციები, რომლებიც ნაშრომის შემდეგ თავში გავაერთიანე.

კვლევის ძირითადი დასკვნები, მიგნებები და რეკომენდაციები

აღნიშნულ თავში განხილული იქნება, თუ რა ძირითადი აღმოჩენები და ტენდენციები იქნა გამოკვეთილი, ასევე ის რეკომენდაციები, რომელიც კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ჩამოვყალიბე.

როდესაც პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა დავიწყე, შევეცადე, არ ყოფილიყო გადატვირთული და არარეალისტური. სხვადასხვა მეთოდის გამოყენების შედეგად მივიღე ჩემთვის საკმაოდ საინტერესო ინფორმაცია. განვიხილოთ თითოეული მათგანი

კვლევის პირველ ეტაპზე ვაწარმოე დაკვირება. დაკვირვებისას მივიღე შემდეგი ტიპის ინფორმაცია: მოსწავლეები გაკვეთილის პროცესში არ იყვნენ აქტიურად ჩართულები (წინა წელთან შედარებით), განსაკუთრებით ნაკლები ინტერესი შევამჩნიე სტანდარტულად გაკვეთილის მოყოლისას, ზოგიერთ მოსწავლეს შევამჩნიე გონებაგაფანტულობა, ისინი სათანადოდ არ იყვნენ ჩართულნი საგაკვეთილო პროცესში, ასევე წყაროზე მუშაობისას, დავაკვირდი რომ მოსწავლეთა ნაწილი წყაროს ბოლომდე არ კითხულობდა და რომ უჭირდათ წაკითხულიდან აზრის გამოტანა, ასევე მოსწავლეების ნაწილს უჭირდა ფაქტებისა და მოვლენების ერთმანეთთან დაკავშირება, ასევე ნაკლებად იყვნენ მოტივირებულნი შეესრულებინათ სხვა ტიპის დამატებითი აქტივობებიც.

გამომდინარე იქიდან, რომ წლების განმავლობაში, გაცილებით დიდ ყურადღებას საგაკვეთილო პროცესში ვუთმობდი ტექსტში მასალის დამახსოვრებას და წყაროს ანალიზს, გადავხედე რა საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკას, დავრწმუნდი, რომ აუცილებლად უნდა შემეცვალა მუშაობის ფორმები. პირველ რიგში, საგაკვეთილო ფორმატში ჩამერთო მათ უნარებზე, შესაძლებლობებსა და ინტერესებზე მორგებული მასალა; ისეთი მრავალფეროვანი, საინტერესო და მხიარული აქტივობები, რომელიც მოსწავლეს მისცემდა საშუალებას ტექსტის წაკითხვის შემდეგ, თავადვე გაეანალიზებინა, გამოეტანა დასკვნები. ყოველივე ეს კი აუცილებლად გამოიწვევდა მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას. ასევე, მნიშვნელოვანად მივიჩნევ, მოსწავლეებისადმი ინდივიდუალურ მიდგომას, როგორც დაკვირვებამ ცხადყო, მოსწავლეებს არ გააჩნიათ ერთნაირი დონის მოტივაცია, ისინი სხვადასხვაგვარად სწავლობენ, შესაბამისად, დიფერენცირებული მიდგომა

ესაჭიროებათ.

ხოლო, პედაგოგებთან ფოკუს-ჯგუფის შემდგომ შეიძლება დავასკვნათ :

- მოტივაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს აწყდებიან ისტორიის სხვა მასწავლებლებიც, და ასევე გეოგრაფიის მასწავლებლებიც
- მოტივაციის პრობლემა მწვავედ დგას სწორედ მეშვიდე კლასში და მისი აღმოფხვრა მნიშვნელოვანია, სამომავლოდ მოსწავლის განვითარებისთვის;
- მოტივაციის ნაკლებობა შესაძლოა გამოწვეული იყოს ასაკობრივი ფაქტორებით;
- ნიშანი შეიძლება გახდეს მოსწავლისთვის მოტივაციის ამალგების საფუძველი;
- ისტორიის სახელმძღვანელო რთულია და ვრცელ ინფორმაციას მოიცავს;
- გასათვალისწინებელია მოსწავლეებისადმი ინდივიდუალური მიდგომა;
- მოტივაციის გაზრდისთვის და მის შესანარჩუნებლად შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა აქტივობები (მოსწავლეთა სასწავლო ღონისძიებებში ჩართვა, პროექტული სწავლება, ბუნებაში გასვლა, კლასებში კონკურსების ჩატარება, დამატებითი სახელმძღვანელოების შემოტანა, მასწავლებლის მხრიდან შექება, ფილმების ჩვენება და ა.შ.)

მოსწავლეებში ანკეტირებამ, მომცა შემდეგი ტიპის ინფორმაცია, რომელიც ასევე საინტერესო ინფორმაციის მომცემი აღმოჩნდა:

- მოსწავლეთა უმეტესობას მოსწონს ისტორიის სახელმძღვანელო;
- მოსწავლეების დიდი ნაწილი უფრო ადვილად სწავლობს ჯგუფური მუშაობისას
- მოსწავლეებს უმეტესად, ისტორიის გაკვეთილზე შესვლისას დადებითი ემოცია ეუფლებათ, აღსაღნიშნია, რომ უარყოფითი განწყობა არცერთ მოსწავლეს არ დაუფიქსირებია.
- მოსწავლეების უმეტესობა თვლის, რომ შესაძლებლობების მიხედვითაა საგაკვეთილო პროცესში ჩართული, ასევე იგივე რაოდენობა ამბობს, რომ ნაწილობრივია ჩართული, არიან ისეთები ვინც არ მიიჩნევს გაკვეთილის პროცესში საკუთარ თავს ჩართულად, ზემოთაღნიშნული ორი უკანასკნელი ფაქტორი საკმაოდ საყურადღებოა;
- მოსწავლეთა ნახევარზე მეტი ამბობს, რომ არ უჭირს ტექსტის ან წყაროს

ბოლომდე წაკითხვა, თუმცა საკმაოდ დიდია იმათი რაოდენობა ვისაც ნაწილობრივ ან ზოგადად უჭირს ტექსტისა და წყაროს წაკითხვა;

- ხალისით ასრულებენ შემდეგი ტიპის დავალებებს: ყველაზე ხშირად აღინიშნებოდა რომ მოსწონთ ჯგუფური სამუშაო, ტექსტის დამუშავება და T-სქემა.
- მოსწავლეები თვლიან, რომ ისტორიის საგნის შესწავლის მნიშვნელობას ხედავდნენ, თუმცა მოსწავლეთა ნაწილი მის მნიშვნელობას ნათლად ვერ აღიქვამს.
- მოსწავლეთა უმეტესობისთვის მეშვიდე კლასში ისტორიის სწავლა გაცილებით რთულია;

საბოლოო ჯამში, კვლევის შედეგად შევიმუშავე შემდეგი ტიპის

რეკომენდაციები:

- ✚ საგაკვეთილო ფორმატში, როდესაც ხდება მოსწავლეთა უნარებზე, შესაძლებლობებსა და ინტერესებზე მორგებული მასალის ჩართვა, მრავალფეროვანი, მხიარული აქტივობების გამოყენება, შედეგად მოსწავლეთა მოტივაცია იზრდება, სწავლის პროცესი კი საინტერესო და აქტიური ხდება; შესაბამისად, სტანდარტული მოყოლის ხვედრითი წილი უნდა შემცირდეს;
- ✚ საჭიროა მოსწავლეებისადმი დიფერენცირებული მიდგომების უფრო აქტიურად გამოყენება, რადგან მათი სურვილები სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით არაერთგვაროვანია, ასევე არაერთგვაროვანია მათი მოტივაციაც;
- ✚ თემის შერჩევისას, მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეს მისცეს შესაძლებლობა, აირჩიოს სასწავლო თემასთან დაკავშირებული საკითხი, რომელიც ყველაზე მეტად აინტერესებს;
- ✚ სასურველია, განსაკუთრებით ყურადღება გამახვილდეს, იმ მოსწავლეების საგაკვეთილო პროცესში ჩართვაზე, ვინც პასიურია;
- ✚ „სწავლა კეთებით“ – მოსწავლე უნდა აკვირდებოდეს საკუთარი სწავლის პროცესს, ეს განუვითარებს პასუხისმგებლობის გრძნობას, ჩამოუყალიბებს მეტაკოგნიტიურ და თვითრეგულირებადი სწავლის უნარებს;
- ✚ სახელმძღვანელოთი უფრო მეტად მოსწავლეების დაინტერესების მიზნით,

სხვადასხვა დამატებითი წყაროების მოზიდვა, ასევე დამატებითი სახელმძღვანელოების ჩართვა;

✚ სასურველია, პერიოდულად ჩატარდეს მოსწავლეებში ანკეტირების ტიპის გამოკითხვები, რათა მოსწავლეთაგან მივიღო პროცესების შეფასება, უკუკავშირი;

ამგვარად, აღნიშნული ეტაპის შემდეგ, უკვე მქონდა ერთგვარი სამოქმედო „გეგმა“, რომლის მიხედვითაც, დავიწყე ინტერვენციების შემუშავება, განხორციელება, რომლებზეც ინფორმაცია შემდეგ თავებშია მოცემული.

ინტერვენციების აღწერა

აღნიშნული თავი მოიცავს ინტერვენციის დეტალურ აღწერას.

თანამშრომლობა, გუნდური მუშაობა, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა პროფესიული განვითარებისათვის.

ინტერვენციის საწყის ეტაპზე შევხვდი, ჩემი სკოლის საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის მასწავლებლებს, რომლებსაც ჩემ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები დეტალურად გავაცანი. მივიღე უკუკავშირი და შესაბამისი ღონისძიებებიც დავგეგმეთ. ასევე გავითვალისწინე ზემოთ უკვე აღნიშნული თეორეტიკოსების მოსაზრებები, რომ მოტივაცია გაკვეთილის გეგმაში უნდა ჩაშენდეს, სკოლა უნდა იყოს სახელოსნო, ლაბორატორია, სადაც უმეტესი ადგილი და დრო უნდა დაეთმოს „კეთებას“ და არა „მოსმენას“, გავითვალისწინე დიუის თეორიის ძირითად იდეა, „ღირებულია მხოლოდ ის, რაც იძლევა პრაქტიკულ შედეგს“ (მელიქიშვილი, 2013გ: 22). ინტერვენციების დაგეგმვისას, რა თქმა უნდა, ასევე გავითვალისწინე დაკვირვების, ფოკუს-ჯგუფისა და ანკეტირების შედეგად მიღებული ინფორმაციაც.

ცხადია, თითოეული ინტერვენცია მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე უნდა ყოფილიყო მორგებული და დასახული მიზნისთვის უნდა მიმედღია. პირველ რიგში, მუშაობა საკუთარი თავიდან უნდა დამეწყოს.

შესაბამისად, კვლევის შედეგების გაანალიზებისა და კოლეგებთან შეხვედრის შემდეგ მთელი რიგი განსახორციელებელი აქტივობები შემდეგი მიმართულებით ჩამოვალაყლიბე:

- ინტერაქტიული სწავლება/განმავითარებელი შეფასება/დიფერენცირებული სწავლების მეთოდების მოძიება /გაცნობა
- მოსწავლეებთან შეხვედრა და მათთვის განსახორციელებელი აქტივობების გაცნობა.
- საჭირო რესურსების მოძიება/შექმნა (თაბახები, ფერადი ფანქრები, მარკერები, თვალსაჩინოებები, პლასტელინი...)

ინტერვენციის დაგეგმვამდე მოვიძიე და გავეცანი მასალას ინტერაქტიული სწავლების, განმავითარებელი შეფასების, დიფერენცირებული სწავლების შესახებ. იმისათვის რომ სწავლა სახალისო, საინტერესო პროცესად და ნამდვილ ინტელექტუალურ გამოწვევად ყოფილიყო გადავწყვიტე, ჩემი მიდგომა ინოვაციებით

დამეტვირთა. ყოველივე ეს კი მოსწავლეთა ჩართულობას გაზრდიდა. ეს აქტივობები კი დამეხმარებოდა მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებაში ისტორიის გაკვეთილზე, რაც, რა თქმა უნდა, ჩემი კვლევის მიზანს წარმოადგენდა.

ინტერვენციის დაგეგმვიდან რამდენიმე დღის მერე შევხდი მოსწავლეებს. გავაცანი მათ ის აქტივობები, რომელთა განხორციელებასაც ვაპირებდი მათ კლასში, რათა „სწავლა–სწავლების პროცესში“–აქტიურად განმეხორციელებინა. შევამჩნიე, რომ მათი ინტერესი უკვე დიდი იყო, გამომდინარე იმ ანკეტირებიდან, რომელშიც თავად მიიღეს მონაწილეობა. ნაბიჯ–ნაბიჯ დავიწყეთ სტრატეგიების ახსნა /შესწავლა. გავითვალისწინე კონფუცის აზრი ამ მხრივ: „მიტხარი მე და დამავიწყდება, მაჩვენე და მე დავიმახსოვრებ, მომეცი საშუალება ჩემით ვიმოქმედო და მე მივხდები“.

ზემოთხსენებული პრობლემების აღმოსაფხვრელად გადავწყვიტე საგაკვეთილო პროცესში ჩამერთო პროექტით სწავლება. როგორც ცნობილია, პროექტით სწავლება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. განსხვავდება ტრადიციული გაკვეთილისგან. წარმოადგენს სწავლების განსაკუთრებულ ფორმას, როდესაც მასწავლებლები და მოსწავლეები ერთობლივად ფორმულირებულ პრობლემას მიმართავენ, რომლის დასამუშავებლად განავითარებენ გეგმას, მონაწილეობენ მის გადაჭრაში და ერთ საერთო პროდუქტს წარმოადგენენ. პროექტის მეთოდით სწავლა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს ამავედროულად მოახდინონ კავშირის დამყარება ნასწავლ შინაარსსა და მის გამოყენებას შორის.

თავიდან, გავითვალისწინე ის ფაქტი, რომ ინოვაციური რამდენიმე მეთოდი კლასში მანამდე, უკვე აქტიურად დანერგილი მქონდა. ამიტომ უნდა მომეძიებინა უფრო მეტი ინფორმაცია, უფრო მეტი და საინტერესო აქტივობები უნდა დამენერგა, რომლითაც ყოვლდღიურ სწავლებაში სიახლეს შევიტანდი, ასევე უნდა გამეთვალისწინებინა კვლევისას ჩემ მიერვე შემუშავებული რეკომენდაციები.

პროექტისთვის შევარჩიე გაკვეთილი „ნილოსის აუზი–ეგვიპტე“. (იხ. დანართი 7), შესაბამისად, შევადგინე კლასთან ერთად პროექტის გეგმა. სიახლე ამ შემთხვევაში ის გახლდათ, ის რომ მოსწავლეები დაგეგმვის პროცესშივე ჩავრთე.

პროექტი მოკლევადიანი და გათვლილი იყო ორ კვირაზე. ნაბიჯ–ნაბიჯ დავგეგმეთ ყველა აქტივობა. გეგმის თანახმად კლასი დავყავი ჯგუფებად (6

ჯგუფი)(მოგეხსენებათ, ჯგუფური აქტივობების წილის გაზრდა საგაკვეთილო პროცესში, თავად მოსწავლეების სურვილიც იყო). ჯგუფები დაყავი გათვლის მეთოდით ისე, რომ სხვადასხვა მოტივაციის მოსწავლეები სხვადასხვა ჯგუფში აღმოჩენილიყვნენ. თითოეულ ჯგუფს, შესაბამისი ინსტრუქტაჟით, მივეცი თემები. ის თემა, რომელიც ჯგუფს შევთავაზე პრეზენტაციის დროს, შეემლოთ წარმოედგინათ ნებისმიერი სახით ან ფორმით: ნახატით, პლაკატით, თვალსაჩინოებით და ა.შ კვირის ბოლოს მოსწავლეებმა წარმოადგინეს პრეზენტაციები. თითოეული ჯგუფი ცდილობდა გაეკეთებინა პრეზენტაცია შესაბამის თემაზე.

მოსწავლეებმა ინტერნეტის მეშვეობით მოიძიეს სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია, და წარმოადგინეს დამატებით მასალა. ამ შემთხვევაშიც, კიდევ ერთხელ გავითვალისწინე მოსწავლეთა სურვილი, ელექტრო რესურსების გამოყენების შესახებ. გარდა ამისა, ჯგუფების ნაწილმა ხელით გამოძერწა პირამიდები, პლასტელინებით გააკეთა მუმიფიცირებისათვის აუცილებელი ინსტრუმენტები და სხვა.

კლასის უმრავლესობა კარგად ჩაერთო ამ პროექტში. ჯგუფებმა გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობას. რა მოგვცა ამ პროექტმა? მოსწავლეებისათვის ეს აქტივობა სახალისო და საინტერესო გამოდგა. იგი დაეხმარა მოსწავლეებს შეძენილი ცოდნის გენერირებაში და საშუალება მისცა მიზნად დაისახონ, საკითხის ირგლივ მოიძიონ მათთვის საინტერესო მასალა და გაიღრმავონ ცოდნა. შედგა კომუნიკაცია, კვლევა, განუვითარდათ შემოქმედებითი უნარი, შეძლეს თვალსაჩინოებების გამოყენება და შექმნა. თუმცა ჯგუფური მუშაობის ნაკლი ის იყო, რომ გარკვეული ჯგუფის წევრები მაინც არ იყვნენ საგაკვეთილო პროცესში ჩართულები.

იმისათვის რომ მოსწავლეთა ჩართულობა გაზრდილიყო, ამ მიზნით, გადაწყვიტე შემდეგი ინტერვენციის დაგეგმვა. ინტერვენციის ფარგლებში შემდეგი აქტივობა საკმაოდ შრომატევადი და ეფექტური გამოდგა. კოლეგებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში გასაუბრებისას, მივიღე რეკომენდაციები, დიფერენცირებული მიდგომის აუცილებლობის შესახებ. შესაბამისად, გავითვალისწინე რა განსხვავებული აკადემიური მოსწავლების მოსწავლეები, დავალებები მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით მქონდა შედგენილი.

მოსწავლეებს გავაცანი სახელმძღვანელოდან ახალი მასალა. ტექსტის გაცნობის

შემდეგ, კლასს შევთავაზე აქტივობა წყვილებში, გამოტოვებული სიტყვების ჩასმა ტექსტში, შესაბამისი ინსტრუქტაჟით (იხ. დანართი 8). ამ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ შევამცირე ჯგუფის წევრთა ოდენობა, რადგან დავალემა მივეცი წყვილებს. შესაბამისად, უფრო კარგად შევძელი დამენახა, ვინ როგორ იყო პროცესებში ჩართული.

ამ აქტივობაზე კლასის 34 ბავშვიდან 15-მა მოსწავლემ შეძლო ტექსტის სრული აღდგენა. შემდეგ გაკვეთილზე მოსწავლეებს შევთავაზე იგივე ტექსტი, ოღონდ სხვა აქტივობით. ტექსტში წინასწარ დაშვებული შეცდომების გასწორება (იხ. დანართი 9). მოსწავლეებს ეძლეოდათ საშუალება გაესწორებინათ ტექსტი და კორექტირება მოეხდინათ. საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა აღნიშნულ აქტივობაზე მუშაობა, ზოგ მოსწავლეს, რომელიც წინა შემთხვევებში არ იყო აქტიური, შევამჩნიე დამახსოვრების განსაკუთრებული უნარი, რაც ჩემთვის საყურადღებო აღმოჩნდა.

ორივე აქტივობა მიზნად ისახავდა კრიტიკული აზროვნებისა და კვლევა ძიების განვითარებას. ასევე, მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო ჩემთვის ისიც, რომ მოსწავლეების გარკვეულ ნაწილს, როგორც კვლევის პროცესში, ასევე ჩემი დაკვირვებით გამოიკვეთა, უჭირდათ ტექსტის/წყაროს ბოლომდე წაკითხვა და აღქმა. აღნიშნული, აქტივობებიც ამ პრობლემის დაძლევას ემსახურებოდა. ამჯერად, მოსწავლეებს ტექსტის აღქმა გაუადვილდათ. ნასწავლი მასალის კონსტრუირება და კორექტირება სრულყოფილად მოახერხა 34 ბავშვიდან 22-მა, დანარჩენ მოსწავლეებშიც შევამჩნიე პროგრესი, უფრო მეტ დეტალზე ამახვილებდნენ ყურადღებას. ამ აქტივობებს ვაწარმოებდი რამდენიმე კვირის განმავლობაში სხვადასხვა თემებზე. მომდევნო გაკვეთილებზე ტექსტის რაოდენობა გავზარდე. ამასთანავე კორექტირებისას სიტყვათა რაოდენობაც გავზარდე. შემდეგ თვეში შედეგები გაიზარდა. აღნიშნულ აქტივობებზე მუშაობისას მოსწავლეებს ვაძლევდი განმავითარებელ შეფასებას, რაც მოტივაციის ამაღლებას ემსახურებოდა.

საბოლოო შედეგედ მივიღე: მოსწავლეებს განუვითარდათ წაკითხულიდან აზრის გამოტანის უნარი, გაიზარდა ჩართულობა და მოტივაცია, მიიღეს ტექსტზე მუშაობის პრაქტიკა.

კვლევის პროცესში შევეცადე ნაბიჯ-ნაბიჯ, მსგავსებასა და განსხვავებაზე ორიენტირებული დავალებები შემეთავაზებინა. რადგან სკოლა ფიზიკა-მათემატიკის პროფილითაა, მოსწავლეებს შევთავაზე გრაფიკული სქემები,

შედარების მატრიცა, რომლის დახმარებითაც მოსწავლეები ნათლად ხედავენ, როგორ ჰგავს ან განსხვავდება ერთმანეთისგან ორი მოვლენა ან საგანი კონკრეტული ნიშნების მიხედვით; მივეცი საშუალება თავადვე დახაზონ დაფაზე, შექმნან ცხრილები, დიაგრამები. მსგავსება-განსხვავებების იდენტიფიკაცია მოსწავლეებს დაჭირდა ცალკეულ პირებზე, ისტორიულ მოვლენებსა თუ ეპოქებზე მსჯელობის დროს. ასევე, შევამჩნიე ისიც, რომ აღნიშნულ აქტივობებზე მუშაობისას ჩაერთნენ ის მოსწავლეებიც, რომლებსაც პასიურად/ან ნაკლებ აქტიურად იყვნენ ჩართული საგაკვეთილო პროცესში.

გადავწყვიტე საგაკვეთილო პროცესში გამომეყენებინა კარიკატურით სწავლება. მოსწავლეებს თავდაპირველად ეკრანზე ვაჩვენე ნახატი/კარიკატურა. მივეცი საშუალება გამოეთქვათ მოსაზრებები. დაეწერათ მოთხრობა, ესსე, ლექსი, გავითვალისწინე რა მოსწავლეების სურვილი, რომლებსაც უნდოდათ ესსეების წერა (ანკეტირების შედეგი). მოსწავლეს ეძლეოდა საშუალება ნახატის ან კარიკატურის საშუალებით მოეხდინათ ცოდნის ტრანსფერი. მოსწავლეები მოგზაურობდნენ წარმოსახვით სამყაროში და შეემლოთ წარმოედგინათ საკუთარი ვერსიები.

რა მომცა ამ აქტივობამ? ეს იყო ძალიან საინტერესო აქტივობა, ყველა მოსწავლე იყო ჩართული საგაკვეთილო პროცესში, ასევე მეტ-ნაკლებად ყველამ იპოვა კონკრეტულად მისთვის მოსაწონი აქტივობა, რომლის საშუალებითაც ჩაერთვებოდა საგაკვეთილო პროცესში. ერთდროულად განვითარდა წერის, ინტეპრეტირების, შემოქმედებითი და სემიოტიკური კომპეტენციები, ასევე ბავშვებში გამოიწვია დიდი ინტერესი, რაც მოსალოდნელი იყო, გამომდინარე კვლევის შედეგებიდან.

ყველაზე საინტერესო დადებითი შედეგი გამოიღო ურთიერთშეფასებამ. მინდა ხაზი გავუსვა, რომ მოსწავლეები საკუთარი თანატოლისაგან მიღებულ უკუკავშირს უფრო ადეკვატურად აღიქვამენ.

შემდეგ კვირაში, გადავწყვიტე მოსწავლეების კიდევ ერთი სურვილი გამეთვალისწინებინა, ეს გახლათ ცნობილი ისტორიული პესრონაჟების შესახებ პრეზენტაციების გაკეთება, ამ სურვილის შესახებაც ჩემთვის ანკეტირების მეშვეობით გახდა ცნობილი. და მივმართე ასეთ ხერხს, კლასს შევთავაზე სტრატეგია „ბარომეტრი“.

რა არის „ბარომეტრი“?– მსჯელობის მარტივი, საინტერესო ხერხი. გამოიყენება

ამა თუ იმ ისტორიული პირების, მეცნიერების, საზოგადო მოღვაწეების, ლიტერატურული პერსონაჟების განხილვისათვის. „ბარომეტრი“ დამეხმარა კონკრეტული თემის ცოდნის გაღრმავებაში, საკლასო გარემოს ერთფეროვნების დაძლევაში, გაზარდა მოსწავლეთა ჩართულობა და მოტივაცია.

კვლევის პროცესში ასევე დამეხმარა რეფლექსია, სადაც მოსწავლემ თავადვე შეაფასა საკუთარი ცოდნა რომელიც მიიღო საგაკვეთილო პროცესში. სტრატეგია „კუნძული“-ფორმატის ფურცელზე დავხატე რუკა „კუნძულების“ ემოციური გამოსახულებით: „კ. სიხარული“, „კ. გაურკვევლობა“, „კ. მოლოდინი“, „კ. კმაყოფილება“, „კ. აღფრთოვანება“, „კ. ბერმუდის სამკუთხედი“ და სხვ. გავაკარი კედელზე. თითოეული მოსწავლე მიდიოდა რუკასთან და მარკერით ხატავდა თავის გემს რუკის იმ სეგმენტში, რომელიც მის სულიერ, ემოციურ-მგრძნობელობით მდგომარეობას გამოხატავდა გაკვეთილის ბოლოს. იმ შემთხვევაში თუ უკვე არსებული კუნძულები არ შეესაბამებოდა მის მდგომარეობას, თითოეულ მოსწავლეს შეეძლო რუკაზე დაეხატა ახალი კუნძული და დაერქვა სახელი. რუკის შევსების შემდეგ ვახდენდი მის გაანალიზებას. ამ სტრატეგიას მთელი კვირის განმავლობაში ვიყენებდი, ხოლო კვირის ბოლოს ვახდენდი მათ შედარებას. საწყისს ეტაპზე, თუ მოსწავლეების ნახევარი გადიოდა „კ.მოლოდინზე“, „კ. ბერმუდის სამკუთხედში“, კვლევის ბოლოს კლასის უმეტესობა გავიდა „კ. აღფრთოვანება“, „კ. კმაყოფილება“. ეს ინსტრუმენტები დამეხმარა გამეგო მოსწავლეთა საკითხის გაგების ხარისხი და გამეგო მათი მისწრაფებები და სურვილები, რასაც მომდევნო გაკვეთილის დაგეგმვისას ვიყენებდი.

ასევე გამოვიყენე, კიდევ ერთი ხერხი, სტრატეგია გასასვლელი ბილეთი – ამ სტრატეგიას ვიყენებდი, როგორც გაკვეთილის ბოლოს, ასევე კვლევის ბოლოსაც. კვლევის დასასრულს მოსწავლეებს დავურიგე გასასვლელი ბილეთები და ვთხოვე მათი შევსება, რათა დამედგინა თუ როგორ შეიცვალა მოსწავლეთა მდგომარეობა და მოტივაცია კვლევის დასასრულს. შედეგებს მოკლედ შემდეგ თავში გაგაცნობთ.

ამრიგად, ინტერვენციების დაგეგმვისას გავითვალისწინე, როგორც თეორეტიკოსების, ასევე პედაგოგების და მოსწავლეების მოსაზრებებიც, მოტივაციასთან დაკავშირებით. ინტერვენციის პროცესში, მომიხდა მუშაობა საკუთარ თავზე, ასევე დავამუშავე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ რეკომენდირებული სხვადასხვა სახელმძღვანელო.

დავგეგმე ძირითადად პრაქტიკული სახალისო აქტოვობები, შევეცადე, ჩემ მიერ დაგეგმილი აქტივობები ყოფილიყო შედეგზე ორიენტირებული და ეროვნულ სასწავლო გეგმაზე მორგებული.

ინტერვენციების შეფასება

მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ვატარებდი რა ისტორიის გაკვეთილებს, პარალელურად ვაწარმოებდი კვლევას „ისტორიის შესწავლის მოტივაციის ამაღლება მე-7 კლასში“. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ინტერვენცია დაიგეგმა და განხორციელდა სასწავლო პროცესში.

საგაკვეთილო ფორმატში მათ უნარებზე, შესაძლებლობებსა და ინტერესებზე მორგებული მასალის ჩართვამ, მრავალფეროვანი და მხიარული აქტივობების გამოყენებამ, მოსწავლისთვის გაკვეთილი საინტერესო და აქტიური გახადა. პარალელურად ვაკვირდებოდი მოსწავლეთა განწყობას. მოსწავლეთა მხრიდან სასურველი შედეგის დაფიქსირების შემთხვევაში კი ოპერატიულად ვაწვდიდი უკუკავშირს და ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ მათი მოტივაცია და ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში გაიზარდა.

თავდაპირველად მოვიძიე მასალა/ლიტერატურა, რომელიც დამეხმარა ინტერაქტიული გაკვეთილის დაგეგმვაში. განვიხილეთ ჯგუფებში, პრეზენტაციებზე, ინდივიდუალურად, წყვილებში მუშაობა. ჯგუფებში მუშაობამ მომცა ის შედეგი, რომ დამოუკიდებელმა სამუშაოებმა მნიშვნელოვნად გაზარდა მოსწავლეებში რელევანტური თვითშეფასების უნარი, ასევე მოემატათ გამბედაობა და სიმამაცე. დავალებების არჩევის შესაძლებლობამ მოსწავლეებს გაუზარდა მოტივაცია და ხალისით ასრულებდნენ აქტივობებს.

დავალებების შესრულებაში ჩაერთნენ ისეთი მოსწავლეებიც, რომლებიც სხვა დროს პასიურობდნენ. აქედან გამომდინარე, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ისტორიის გაკვეთილებზე ჯგუფურმა სამუშაომ და თვალსაჩინოების შექმნამ მნიშვნელოვნად გაზარდა მოსწავლეთა მოტივაცია და მათი ჩართულობა.

ინტერვენციის დროს გამოვიყენე პროექტით სწავლება. იგი დაეხმარა მოსწავლეებს შეძენილი ცოდნის გენერირებაში, შედგა კომუნიკაცია, კვლევა, განუვითარდათ შემოქმედებითი უნარი, შეძლეს თვალსაჩინოებების გამოყენება და შექმნა.

ხოლო, გამოტოვებული სიტყვების ჩასმისა და ტექსტის კორექტირების დროს მოსწავლეებმა შეძლეს კრიტიკული აზროვნება და კვლევა-ძიების განვითარება. კარიკატურით სწავლებით კი ყველა მოსწავლე ჩაერთო საგაკვეთილო პროცესში,

ერთდროულად განვითარდა წერის, ინტერპრეტირების, შემოქმედებითი და სემიოტიკური კოპეტენციები. ყოველივე ამის შედეგად კონკრეტული თემის ცოდნა გაღრმავდა, საკლასო გარემოს ერთფეროვნების დავძლიეთ, გაიზარდა მოსწავლეთა ჩართულობა და მოტივაცია.

ყველაზე საინტერესო, რომელმაც დადებითი შედეგი გამოიღო იყო ურთიერთშეფასება და რეფლექსია.

კვლევის შედეგების შესაფასებლად გადავწყვიტე მიმემართა განმეორებით ანკეტირებისთვის და მოსწავლეებისთვის დამესვა ზოგიერთი კითხვა განმეორებით. აღნიშნულის შედეგად მივიღე, რომ, მაგალითად, ჩემი საგნის შეფასების ქულა, რომელიც იყო საშუალოდ 9,3 გაიზარდა 9,6-მდე. რაც, რა თქმა უნდა, პროგრესის მანიშნებელია. ასევე გაიზარდა იმ მოსწავლეების წილიც, რომლებსაც გაკვეთილზე შესვლისას პოზიტიური განწყობა ეუფლებათ.

სახელმძღვანელოს რაც შეეხება, მოსწავლეების გარკვეული ნაწილი კვლავ მიუთითებს მის სირთულეზე, თუმცა ამ შემთხვევაშიც მცირედი პროგრესი მივიღე, იმ მოსწავლეების წილიც გაიზარდა, რომლებიც სახელმძღვანელოს დადებითად აფასებენ. თუმცა ამ მიმართულებით კიდევ გავაგრძელებ მუშაობას. კითხვაზე, ხართ თუ არა თქვენი შესაძლებლობის მიხედვით ჩართული საგაკვეთილო პროცესში, უარყოფითი პასუხების წილი შემცირდა, და გაიზარდა „ნაწილობრივის“ ან დადებითი პასუხის პროცენტული მაჩვენებელიც. დაახლოებით იგივე შედეგი მივიღე შემდეგი კითხვის პასუხებიდანაც: გიჭირს თუ არა ტექსტის ან წყაროს ბოლომდე წაკითხვა, ვისაც არ უჭირს მათი პროცენტული მაჩვენებელი გაიზარდა, თუმცა ჩემი დაკვირვებით ამაზე მუშაობა კიდევ აქტიურად უნდა გავაგრძელო, რადგან ზოგ მოსწავლეს ამ მხრივ მხოლოდ მცირედ პროგრესს ვამჩნევ, მიუხედავად მათი პასუხებისა. ასევე ისტორიის საგნის საჭიროების შესახებ ადრეც სხვადასხვაგვარი პასუხი მივიღე და ახლა პასუხები გაცილებით მრავალფეროვანი აღმოჩნდა, ჩემი აზრით, მოსწავლეები უკვე უკეთ ხედავენ საგნის მნიშვნელობას.

თუმცა, ზემოთ აღნიშნული პროგრესის მიუხედავად, კვლავ რჩება გამოწვევად გარკვეული ტიპის მიმართულები, კერძოდ, სახელმძღვანელოს საკითხი, როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ ფოკუს-ჯგუფისას ისტორიის სახელმძღვანელო მართლაც, რთული და გაუგებარი შეიძლება იყოს მოსწავლისთვის, ასევე რთულია ყველა თემაზე, თემასთან შესაბამისი დამატებითი წყაროების მოძიება, რომ

სახელმძღვანელოთი მოსწავლეები უფრო დავაინტერესო და ჩავრთო ისინი საგაკვეთილო პროცესში. ასევე არის კლასში მოსწავლეთა მცირე ნაწილი, რომელთა მოტივაცია არ გაუარესდა, მაგრამ ვერც პროგრესი შევამჩნიე, დიფერენცირებული მიდგომის მიუხედავად.

ამრიგად, ინტერვენციები გამომდინარეობდა კვლევის მიზნებიდან, გავითვალისწინე ის რეკომენდაციები, რომლებიც თავადვე ჩამოვაყალიბე, კვლევის პროცესში. დაგეგმილი ინტერვენციების საშუალებით მივიღე პროგრესული შედეგი, თუმცა არსებობს გარკვეული ტიპის პრობლემები, რომელთა საბოლოო აღმოფხვრისთვის კიდევ გავაგრძელებ მუშაობას, ასევე ვფიქრობ ადნიშნული კვლევის შედეგები და მიღებული გამოცდილება გამოვიყენო სამომავლოდაც, სხვა კლასებთან მუშაობისასაც.

დასკვნა

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, „ისტორიის შესწავლის მოტივაციის ამაღლება VII კლასში“, მოიცავდა ჩემ მიერ დაგეგმილ სხვადასხვა აქტივობებს, რომელიც ემსახურებოდა ასევე ჩემ მიერ დასახული მიზნის შესრულებას, „გამოკვეთოს მოსწავლეებში მოტივაციის დაქვეითების მიზეზები და მოვებნოთ მოტივაციის ამაღლების გზები“.

კვლევის დიზაინი გახლდათ შერეული ტიპის, შესაბამისად, მოიცავდა რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების სინთეზს. კვლევის საწყის ეტაპზე მივმართე თვისებრივი მეთოდების ერთ-ერთ ინსტრუმენტს-დაკვირვებას. რის შედეგადაც მივიღე საკმაოდ საინტერესო ინფორმაცია, გამოვკვეთე მოტივაციის ნაკლებობის დამადასტურებელი კონკრეტული დეტალები, მოვახდინე მათი განზოგადება და დეტალურად შევისწავლე მოსწავლეების ქცევები. ნათლად დავინახე პრობლემის არსი.

მოტივაციის არ ქონა შესამჩნევი იყო შემდეგ ასპექტებში: პირველ რიგში, შევამჩნიე, რომ მოსწავლეები წინა წლებთან შედარებით, ნაკლები ხალისით ერთვებოდნენ საგაკვეთილო პროცესში, უჭირდათ წყაროზე მუშაობა, ტექსტიდან აზრის გამოტანა, დახარისხება, შეფასების მიღების შემდგომ კიდევ უფრო მეტად ეკარგებოდათ მოტივაცია, შევამჩნიე, რომ ზოგიერთი მოსწავლე არ მისმენდა ყურადღებით, შევამჩნიე გონებაგაფანტულობა.

ამის შემდგომ, დავგეგმე შესაბამისი აქტივობები, რათა უკეთ გამეგო მოტივაციის ნაკლებობის მიზეზები და შემდგომ მემუშავა არსებული მდგომარეობის გამოსწორებისთვის. ამისთვის, გადავწყვიტე გამომეყენებინა, თვისებრივი მეთოდის კიდევ ერთი ინსტრუმენტი- ფოკუს-ჯგუფი, მასწავლებლებთან ურთიერთობებისას, ხოლო რაოდენობრივი მეთოდის ინსტრუმენტი-ანკეტირება მოსწავლეებთან კომუნიკაციისთვის.

კერძოდ, ფოკუს-ჯგუფი ჩავატარე საზოგადოებრივი მეცნიერებათა კათედრის მასწავლებლებთან, რათა გამეგო მათი შეხედულებები სხვადასხვა მიმართულებით (სწავლების მეთოდები, შეხედულებები სახელმძღვანელოს შესახებ და ა.შ.), გამომდინარე იქიდან რომ მათ აქვთ სხვადასხვა დროს მეშვიდე კლასებში მუშაობის გამოცდილება, პრაქტიკა. კოლეგებთან ფოკუს-ჯგუფის შემდეგ მივიღე

რეკომენდაციები, მათი გამოცდილება საკმაოდ მრავალფეროვანი აღმოჩნდა, ასევე გაირკვა რომ ისინიც აწყდებიან მსგავს პრობლემებს და მოტივაციის ამღლებისთვის სხვადასხვა სახალისო აქტივობების დანერგვას და დიფერენცირებული მიდგომის ელემენტების გათვალისწინებას თვლიდნენ საჭიროდ.

მივიღე ინფორმაცია, რომელიც ჩემთვის საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა და ყურადღება განსაკუთრებით გავამახვილე შემდეგ ასპექტებზე: მოსწავლეების უმეტესობა თვლის რომ შესაძლებლობების მიხედვითაა საგაკვეთილო პროცესში ჩართული, გარკვეული ნაწილი ამბობდა, რომ ნაწილობრივია ჩართული, არიან ისეთები ვინც არ მიიჩნევს გაკვეთილის პროცესში საკუთარ თავს ჩართულად, ზემოთაღნიშნული ორი უკანასკნელი ფაქტორი საკმაოდ საყურადღებოა, ასევე მოსწავლეთა ნახევარზე მეტი ამბობდა, რომ არ უჭირს ტექსტის ან წყაროს ბოლომდე წაკითხვა, თუმცა საკმაოდ დიდია იმათი რაოდენობა ვისაც ნაწილობრივ ან ზოგადად უჭირს ტექსტისა და წყაროს წაკითხვა, ასევე გამოიკვეთა ის დავალებები, რომლებსაც მოსწავლეები ხალისით ასრულებენ, ასევე მოსწავლეები ისტორიის საგნის შესწავლის მნიშვნელობას ხედავდნენ, თუმცა მოსწავლეთა ნაწილი მის მნიშვნელობას ნათლად ვერ აღიქვამს. ასევე, აღსაღნიშნია ისიც, რომ მოსწავლეთა უმეტესობისთვის მეშვიდე კლასში ისტორიის სწავლა გაცილებით რთულია, ვიდრე წინა კლასში;

ამ ეტაპზე მივიღე პასუხები, კვლევის მთავარ კითხვებზე, თუ რა უშლიდა ხელს, მოსწავლეებს აქტიურად ყოფილიყვნენ ჩართული სწავლების პროცესში, რა თემები/ აქტივობები იყო მათთვის საინტერესო, და ზოგადად, რა ინტერესები ჰქონდათ მოსწავლეებს და ვიცოდი, როგორ მომეხდინა საგაკვეთილო პროცესის მოსწავლეთა ინტერესებზე მორგება.

ყოველი ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების შემდეგ შევუდექი ინტერვენციების დაგეგმვას, რომელიც დამეხმარებოდა არსებული მდგომარეობის გამოსწორებაში.

ინტერვენციების დაგეგმვისა და შესრულების ეტაპი საკმაოდ შრომატევადი და რთული აღმოჩნდა, გამომდინარე იქედან რომ მიხდებოდა სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის კითხვა, დამუშავება და პრაქტიკაში დანერგვა.

ასევე თავდაპირველ ეტაპზევე, როგორც მოსალოდნელი, იყო პროგრესი ნაკლებ შესამჩნევი იყო. თუმცა, მათი დაინტერესება გამოიწვია ჩემ მიერ კვლევის ეტაპზე ანკეტირებამ. შესაბამისად, მოსწავლეებს უკვე ჰქონდათ გარკვეული ტიპის

დაინტერესება. ნელ–ნელა ცალკეულ მოსწავლეებში შევამჩნიე, რომ საგაკვეთილო პროცესში უფრო მეტად ჩაერთნენ, რომ ზოგიერთი მათგანი უფრო ხალისიანი მეჩვენა. მეთოდების ცვლასთან ერთად სულ უფრო მეტი ბავშვის დაინტერესებას ვახერხებდი. ასევე გაიზარდა მათი აკადემიური მაჩვენებლებიც. ტესტირებისასაც უკეთეს შედეგებს ვიღებდი. ასევე კვლევის ბოლო ეტაპზე ჩავატარე ანკეტირებაც სადაც ჩემი საქმიანობით უფრო მეტი მოსწავლე იყო კმაყოფილი.

თუმცა, ზემოთ აღნიშნული პროგრესის მიუხედავად, კვლავ რჩება გამოწვევად გარკვეული ტიპის მიმართულები, კერძოდ, სახელმძღვანელოს საკითხი, როგორც მასწავლებლები აღნიშნავდნენ ფოკუს–ჯგუფისას ისტორიის სახელმძღვანელო მართლაც, რთული და გაუგებარი შეიძლება იყოს მოსწავლისთვის, რთულია ყველა თემაზე, დამატებითი წყაროების მოძიება, რომ სახელმძღვანელოთი მოსწავლეები უფრო დავაინტერესო. ასევე არის კლასში მოსწავლეთა მცირე ნაწილი, რომელთა მოტივაციის ამაღლების პროცესში პროგრესი მცირეა. გარდა ამისა, ყოველთვის ახალი მეთოდების მოძიება საკმაოდ რთულია და ასევე მოსწავლეებს აქვთ თავიანთი „ფავორიტი“ აქტივობები, რომელშიც მონაწილეობა სულ სურთ და ზოგჯერ ენთუზიაზმით არ ეკიდებიან ჩემ მიერ დაგეგმილ სხვა აქტივობებს.

ამგვარად, კვლევის შედეგად მივიღე საკმაოდ საინტერესო ინფორმაცია, რომლის დამუშავების შემდეგ დავგეგმე ინტერვენციები და განვახორციელე ისინი. კვლევამ დასახულ მიზანს უკასუხა. მოტივაციის პრობლემების დაძლევის საკითხში პროგრესი აშკარაა და შეიძლება ითქვას, რომ მოლოდინს გადააჭარბა კიდევ. თუმცა გარკვეული ტიპის გამოწვევები კიდევ მრჩება, რომელზეც აუცილებლად გავაგრძელებ მუშაობას.

გამოყენებული ბიბლიოგრაფია

1. *ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალი*. (თ. გ.). მოძიებული: 2018 წლის 9 ნოემბერი, საგნის სწავლების საფეხურების დახასიათება: <http://ncp.ge/ge/sagnis-stsavlebis-safekhurebis-dakhasiateba>-დან
2. *ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალი*. (თ. გ.). მოძიებული: 2018 წლის 9 ნოემბერი, ლექსიკონი: <http://ncp.ge/ge/dictionary>-დან
3. *ეროვნული სასწავლო გეგმების პორტალი*. (თ. გ.). მოძიებული: 2018 წლის 9 ნოემბერი, ეროვნული სასწავლო გეგმა: <http://ncp.ge/files/ESG/2011-2016/sazogadoebrivi%20mecnierebebi%20-%20ncp.pdf>-დან
4. კაპანაძე, ნ. (2016 წლის 1 აპრილი). *მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების კელერისეული მოდელი*. მოძიებული: 2019 წლის 9 ნოემბერი, Mastsavlebeli.ge: <http://mastsavlebeli.ge/?p=9727>-დან
5. მელიქიშვილი, მ. (2013). *ბავშვის განვითარების ასაკობრივი თავისებურებები*. თბილისი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
6. მელიქიშვილი, მ. (2013). *მოტივაცია*. თბილისი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
7. მელიქიშვილი, მ. (2012). *სწავლის სოციალურ-კოგნიტური თეორია*. თბილისი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
8. მელიქიშვილი, მ. (2013). *ჯონ დიუის პეტაგოგიური კონცეფცია*. თბილისი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
9. *სსიპ ქ. ბათუმის №6 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლა*. (თ. გ.). მოძიებული: 2018 წლის 10 ნოემბერი, სკოლის ისტორია: <http://www.pmc.edu.ge/skola/page.php?page=historyschool>—დან
10. ჯალიაშვილი, თ. (2012). *ჰუმანისტური თეორია*. თბილისი: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

დანართები:

დანართი 1

სამუშაო შეხვედრის ოქმი #1
17.10.2018წ.

თარიღი:

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. _____ (ქართულის პედაგოგი)
2. _____ (ინგლისური ენის პედაგოგი)
3. _____ (ფიზიკის პედაგოგი)
4. _____ (ბუნებისმეტყველების პედაგოგი)

შეხვედრის მიზანი: მივიღო ინფორმაცია, რამდენად აწყდებიან სხვა საგნის პედაგოგები მოტივაციასთან დაკავშირებულ პრობლემებს, მეშვიდე „ა“ კლასთან მუშაობისას

ამოცანები:

- არსებული მდგომარეობის გაანალიზება;
- მოტივაციაზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა;
- მოტივაციის ამაღლების გზების მიმოხილვა.

შეხვედრაზე განიხილეს:

_____ კონკრეტულად აღნიშნულ კლასში, საგაკვეთილო პროცესში მოტივაციის დონე სხვადასხვა საგნის სწავლებისას, თუ რა იწვევს ყურადღების მოდუნებას, უჭირთ თუ არა მოსწავლეებს სახელმძღვანელოში მოცემული მასალის დაძლევა, ასრულებენ თუ არა საკლასო და საშინაო დავალებებს და მოტივაციის ამაღლებისთვის რა მეთოდებს იყენებენ სხვადასხვა საგნის მასწავლებლები _____

დანართი 2

კითხვარი კლასის მასწავლებლებისთვის

- 1) რადგან ასწავლით მე-7 „ა“ კლასს, ამჩნევთ თუ არა ცვლილებებს, აღნიშნულ კლასში, საგაკვეთილო პროცესში?
- 2) როგორია მოტივაციის დონე კონკრეტულად თქვენი საგნის სწავლებისას? რა იწვევს ყურადღების მოდუნებას?
- 3) უჭირთ თუ არა სახელმძღვანელოში მოცემული მასალის დაძლევა? ასრულებენ თუ არა საკლასო და საშინაო დავალებებს?
- 4) მოტივაციის ამაღლებისთვის რა მეთოდებს იყენებთ?

დანართი 3.

მშობელთა თანხმობის ფურცელი

პრაქტიკული კვლევის ფარგლებში ვატარებ კვლევას: „ ისტორიის შესწავლის მოტივაციის ამაღლება მე-7 კლასში“. მოსწავლის, მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია კვლევის წარმართვისათვის, მიღებული ინფორმაცია ანონიმურია

გთხოვთ ნება დართოთ თქვენ შვილს, მონაწილეობა მიიღოს პედაგოგიური პრაქტიკის კვლევაში.

მასწავლებლის ხელმოწერა: / /

მშობლის ხელმოწერა: / /

თარიღი: __/__/__

დანართი 4.

კითხვები საზოგადოებრივი მეცნიერებათა კათედრის მასწავლებელთათვის

- 1) როგორ შეაფასებდით მოსწავლეთა მოტივაციას, განსაკუთრებით დაწყებითი საფეხურიდან საბაზო საფეხურზე გადასვლისას? აწყდებით თუ არა სირთულეებს საგაკვეთილო პროცესში?
- 2) თქვენი აზრით, რა განაპირობებს მოსწავლეთა მოტივაციის დაბალ ან მაღალ დონეს?
- 3) რა რესურსებს იყენებთ საგაკვეთილო პროცესში? რამდენად რთული შეიძლება იყოს მოსწავლეთათვის ჩვენ მიერ შერჩეული სახელმძღვანელოები?
- 4) თქვენი აზრით როგორ შეიძლება მოსწავლეებში მოტივაციის დონის გაზრდა? და რა უნდა გააკეთოს მასწავლებელმა იმისათვის, რომ მიღწეული შედეგი ბოლომდე შეინარჩუნოს?

დანართი 5.

კითხვარი მოსწავლეებისთვის

პრაქტიკული კვლევის ფარგლებში ვატარებ კვლევას: „ ისტორიის შესწავლის მოტივაციის ამაღლება მე-7 კლასში“. თქვენი, როგორც მოსწავლის, მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია კვლევის წარმართვისათვის. თქვენგან მიღებული ინფორმაცია ანონიმურია და არაა საჭირო კითხვარზე სახელისა და გვარის მითითება. გთხოვთ, შეავსოთ აღნიშნული კითხვარი, წინასწარ გიხდით მადლობას.

1) ისტორიის სახელმძღვანელო, რომელსაც ვიყენებთ:

- ა. მომწონს;
- ბ. მომწონს, მაგრამ დამატებითი სახელმძღვანელო კარგი იქნებოდა
- გ. მნიშვნელობა არა აქვს სახელმძღვანელოს;
- დ. არ მომწონს;

2) უფრო ადვილად ვსწავლობ როცა

- ა. ჯგუფურ სამუშაოს ვასრულებთ;
- ბ. დამოუკიდებლად ვმეცადინებ
- გ. ვთამაშობ/ვთამაშობთ;
- დ. სხვა _____

3) რა ემოცია გეუფლებათ ისტორიის გაკვეთილზე შესვლისას?

- ა. დადებითად ვარ განწყობილი
- ბ. არც დადებითი, არც უარყოფითი, ნეიტრალურად ვარ განწყობილი
- გ. უარყოფითად ვარ განწყობილი
- დ. არ ვიცი, არ მიფიქრია

4) თქვენი შესაძლებლობის მიხედვით ხართ თუ არა ჩართული საგაკვეთილო პროცესში?

- ა. დიახ
- ბ. ნაწილობრივ
- გ. არა
- დ. არ ვიცი

5) გიჭირს თუ არა ტექსტის ან წყაროს ბოლომდე წაკითხვა?

ა. დიახ

ბ. ნაწილობრივ

გ. არა

6) როგორი ტიპის დავალებებს ასრულებთ ხალისით?

7) როგორ ფიქრობთ, სამომავლოდ რაში დაგეხმარებათ ისტორიის საგნის შესწავლა?

8) როგორ ფიქრობთ, რომელ კლასში უფრო რთულია ისტორიის სწავლა, მე-6 თუ მე-7 კლასში და რატომ?

9) საგაკვეთილო პროცესში რომელ აქტივობებს დაამატებდით ან გამოიყენებდით უფრო ხშირად და რატომ?

10) როგორ შეაფასებდით, 10-ქულიანი სისტემით, ისტორიის გაკვეთილს? (გთხოვთ შემოხაზოთ)

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
---	---	---	---	---	---	---	---	---	----

11) თქვენი აზრით რა არის საჭირო იმისათვის რომ ისტორიის გაკვეთილი უფრო საინტერესო იყოს

დანართი 6.

კვლევის ვადები:

აქტივობა	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
საკვლევი თემის შერჩევა	✓								
ლიტერატურის მიმოხილვა /მსგავსი პრაქტიკის გაცნობა	✓	✓	✓	✓					
ჰიპოტეზებისა და პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზების ჩამოყალიბება	✓	✓							
კვლევის ინსტრუმენტებ ისა და შერჩევის სტრატეგიების განსაზღვრა.		✓	✓						
მონაცემთა შეგროვება და ანალიზი			✓	✓					
დასკვნები და მიგნებები				✓	✓				

ინტერვენციები სდაგეგმვა/შემუ შავება				✓	✓				
ინტერვენციები ს განხორციელება						✓	✓	✓	
ინტერვენციები ს შეფასება							✓	✓	
სამოქალაქო კვლევის ანგარიშის მომზადება								✓	✓

დანართი 7.

პროექტის თემა : „ნილოსის აუზი–ძველი ეგვიპტე“

1. მიზანი: მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესში მიღებული ცოდნის რეალურ გარემოში აღქმა. ნილოსის აუზის– ძველი ეგვიპტის შესწავლა.

2. ამოცანა : შევისწავლოთ ეგვიპტის ტერიტორიულ–გეოგრაფიული მდებარეობა, ნილოსის აუზი, ეგვიპტელთა წარმოდგენები ამქვეყნიურ და იმქვეყნიურ ცხოვრებაზე, მუმიფიცირება, პირამიდები, ფარაონები...

3. პროექტის აქტუალურობა: მოსწავლეთა მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდა; საშუალებას მისცემს აქტივობებში სრულყოფილად ჩართოს ყველა მოსწავლე , მათ შორის სუსტი მოსწავლეებიც.

4. საგნებთან/საგნობრივ ჯგუფებთან ეროვნულ სასწავლო გეგმასთან კავშირი: ისტ. VII.

2. მოსწავლეს შეუძლია განსაზღვროს სხვადასხვა ქვეყნის, ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარისა და გეოგრაფიული ობიექტის მდებარეობა რუკაზე.

- რუკის გამოყენებით განსაზღვრავს მსოფლიოს მნიშვნელოვანი ქვეყნებისა და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების მდებარეობას;

ისტ. VII.5. მოსწავლეს შეუძლია ახსნას, თუ რა გავლენას ახდენს ბუნებრივი პირობები დასახლების ტიპებზე, საზოგადოების ტრადიციებსა და მეურნეობის განვითარებაზე.

შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

- აკვირდება არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ (სახელმძღვანელოში მოცემულ ან ინტერნეტით მოძიებულ) მასალას და პასუხობს შეკითხვას – რა საქმიანობას ეწეოდა ხალხი, რომელსაც ეს ნივთები (სამოსახლო) ეკუთვნოდა;

- განსაზღვრავს დასახლების ტიპებს და მსჯელობს კონკრეტულ ისტორიულ-გეოგრაფიულ გარემოში მათი გაჩენის მიზეზებზე. მსჯელობს სხვადასხვა გარემოში მოსახლეობის განსახლების კულტურულ და სამეურნეო თავისებურებებზე;

ისტ. VII.6. მოსწავლეს შეუძლია მსოფლიო ისტორიულ პროცესებზე მსჯელობისას ეკონომიკური ფაქტორის მნიშვნელობის გააზრება.

- ინდივიდუალური ან კლასში ჯგუფური მუშაობისას დროის სკალაზე აღნიშნავს სამ ან ოთხ იდეას (აღმოჩენას), რომლებმაც, მისი აზრით, გამოიწვიეს ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები ეკონომიკაში უძველესი დროიდან დღემდე და კლასის წინაშე ასაბუთებს თავის ან ჯგუფის არჩევანს.

ისტ. VII.7. მოსწავლეს შეუძლია დაახასიათოს და ერთმანეთს შეადაროს სხვადასხვა სოციალური ფენის სტრუქტურა და მათი წარმომადგენლები.

- ამა თუ იმ ეპოქის ნივთიერი კულტურის ამსახველი მასალის (სახელმძღვანელოში მოცემული ან დამატებით მოძიებული) საფუძველზე გამოყოფს ნივთებს, რომლებიც მოწმობენ შესაბამისი ეპოქის სოციალურ დიფერენციაციაზე. ასაბუთებს თავის მოსაზრებას;
- მასწავლებლის მიერ შეთავაზებული ეპოქიდან ასახელებს წარმატებულ ისტორიულ პირებს, განსაზღვრავს მათ სოციალურ სტატუსს (მაგ.: მეფე, ვაჭარი, მონადირე, ბანკირი, მიწათმფლობელი, პრეზიდენტი, მეცნიერი და ა.შ.) და აყალიბებს მათი წარმატებულობის მიზეზებს;

XXI საუკუნის უნარ-ჩვევები

- იდეებისა და აზრის ნათლად და ეფექტურად გამოხატვა წერილობითი თუ სიტყვიერი ფორმით;
- სხვადასხვა ჯგუფთან ეფექტური მუშაობის უნარის დემონსტრირება;
- საერთო მიზნების მისაღწევად საჭირო კომპრომისისთვის მზადყოფნისა და მოქნილობის დემონსტრირება;
- პასუხისმგებლობების გაზიარება მუშაობის პროცესში.
- დროის და სამუშაო დატვირთვის ეფექტური განკარგვა.
- მოსაზრებებისა და გადაწყვეტილებების საჭიროებისამებრ დაბალანსება სხვადასხვა ჯგუფთან ერთობლივი მუშაობისას;
- ტექნოლოგიის გამოყენება, როგორც ინფორმაციის კვლევის, ორგანიზების, შეფასებისა და კომუნიკაციის საშუალების.

5. მოსალოდნელი შედეგები/პროდუქტები, რაც შეიძლება შეიქმნას: აღნიშნული პროექტის განხორციელების შემდეგ ბავშვები წარმოადგენენ პრეზენტაციებს მოძიებული მასალის შესახებ. წარმოადგენენ თვალსაჩინოებებს ...

6. უნარ ჩვევები: სივრცეში ორიენტირება, ინფორმაციის მოპოვება და ორგანიზება, კომუნიკაცია, სწავლის უნარი, კვლევა, შემოქმედებითი უნარი, ფაქტებისა და მოვლენების ისტორიული ინტერპრეტაცია, თვალსაჩინოებების გამოყენება და შექმნა, თანამშრომლობა.

7. სარგებელი სხვებისთვის: მოიძიებულ ინფორმაციას გაუზიარებენ სხვებსაც

8. რესურსები: ადამიანური – მოსწავლეები, ბიბლიოთეკარი;

მატერიალური/ტექნიკური – სახელმძღვანელო, თაბახის ფურცლები, დიდი ფორმატის ქაღალდები, ფერადი ფურცლები, ფერადი ფანქრები, პლასტელინი, დაფა, ცარცი, კომპიუტერი, ფლემ მუხსიერება.

9.რისკები: პროექტის მსვლელობის დროს შეიძლება ვერ მოხერხდეს ყველა მოსწავლის ჩართვა, პრეზენტაციის დროს გაითიშოს შუქი...

10.მონაწილეთა ასაკი: საშუალო საფეხური: 11 –12 წელი

11.ვადები: ორი კვირა (ოქტომბერი)

12.პროექტის მსვლელობა

№	დრო	პროექტის მსვლელობა
1	I კვირა	კლასთან პროექტის გეგმის გაცნობა ;
2	I კვირა	კლასის დაყოფა ჯგუფებად (6 ჯგუფი). დავალებების გადანაწილება შესაბამისი ინსტრუქტაჟით;
3	I კვირა	ვიზიტი სკოლის ბიბლიოთეკაში. კონსულტაცია ბიბლიოთეკართან;
4	I კვირა	ჯგუფების შეხვედრა მასწავლებელთან. რეკომენდაციების მიცემა.
5	II კვირა	მონიტორინგი
6	II კვირა	ჯგუფების შეხვედრა მასწავლებელთან; საპრეზენტაციო (შავი ვარიანტის)მასალის გაცნობა
7	II კვირა	პრეზენტაცია; ჯგუფების მიერ მომზადებული პრეზენტაციების წარმოდგენა და გაცნობა.განმავითარებელი შეფასებების მიცემა;

13.შეფასება: მოსწავლეები შეფასდებიან ჯგუფური მუშაობის შეფასების რუბრიკით

14. პროექტის ხელმძღვანელი: მზია ბაუჟაძე

დანართი 8.

გამოტოვებული სიტყვების ჩასმა ტექსტში

ინსტრუქცია : ტექსტში გამოტოვებული სიტყვების ან თარიღების ნაცვლად (ისინი აღნიშნულია წერტილებით) ჩასვით სწორი პასუხი. თითოეული გა ადგილი დანომრილია (1,2,3,4,5) პასუხი იწერება პასუხების ფურცელში. ტექსტის ქვემოთ მოცემული სავარაუდო სიტყვებიდან აირჩიეთ სწორი პასუხი. 1-ით დანომრილ ადგილზე ჩაიწერება ის პასუხი, რომელიც ტექსტში უნდა ჩაიწეროს 1-ით აღნიშნულ გამოტოვებულ ადგილზე და ა.შ.

„378 წელს გოთებმა დაამარცხეს რომაელები 1.....ბრძოლაში. 395 წელს იმპერატორ თეოდოსიუს I-ის სიკვდილის შემდეგ იმპერია საბოლოოდ გაიყო ორად: დასავლეთ და აღმოსავლეთ რომის იმპერიად. აღმოსავლეთ რომის იმპერიის სატახტო ქალაქი 2..... იყო. 410 წელს ვესტგოთებმა 3..... მეთაურობით აიღეს რომი. 476 წელს გერმანელმა ოდოაკრმა ტახტიდან ჩამოაგდო დასავლეთ რომის უკანასკნელი იმპერატორი – 4..... ამით იმპერიამ არსებობა შეწყვიტა. 493 წელს თეოდორიხმა იტალიაში 5..... სამეფო შექმნა. „

სავარაუდო სიტყვები:


1.ადრიანოპოლი; 2.რავენა; 3.ატილა; 4.ალარიხი; 5.ოსტგოთები; 6.კატალაუნი;
7.კონსტანტინოპოლი; 8.ჰაიზერიხი; 9.ჰონორიუსი; 10.რომულუს ავგუსტულუსი;
11.ვანდალები; 12.დაკები.

დანართი 9.

შეცდომების გასწორება

ინსტრუქცია- ქვემოთ მოყვანილ ტექსტში იპოვეთ დაშვებული შეცდომები. პასუხების ფურცლის შესაბამის ცხრილში გადაიტანეთ ნაპოვნი შეცდომა და მისი გასწორებული ვარიანტი. გაითვალისწინეთ ცხრილში იწერება მხოლოდ ერთი სიტყვა, თარიღი, რიცხვი და ა.შ.

„ IV საუკუნის II ნახევრიდან, რომის იმპერია თანდათანობით კარგავდა უწინდელ ძალას. 378 წელს იმპერატორ თეოდოსიუს პირველის სიკვდილის შემდეგ იმპერია საბოლოოდ გაიყო მის შვილებს შორის დასავლეთ რომის იმპერიად და აღმოსავლეთ რომის იმპერიად, რომლის სატახტო ქალაქი ალექსანდრია იყო. 410 წელს ვესტგოთები - ალარიხის მეთაურობით შეიჭრნენ რომში და დაარბიეს ქალაქი. 476 წლის 28 აგვისტოს ერთ-ერთი გერმანული ტომის ბელადმა სტილიქონმა ტახტიდან ჩამოაგდო დასავლეთ რომის უკანასკნელი იმპერატორი მცირეწლოვანი ადრიანე. ამით დასავლეთ რომის იმპერიამ არსებობა შეწყვიტა.”



რეფლექსია

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა განვახორციელე სსიპ ქ. ბათუმის №6 ფიზიკა–მათემატიკის საჯარო სკოლის VII^ა კლასში. კვლევის მიზანი იყო აღნიშნულ კლასში გამოძვევითა მოსწავლეებში მოტივაციის დაქვეითების მიზეზები და, შესაბამისად, დამეგემა მოტივაციის ამაღლების გზები.

თავდაპირველად, კვლევის ჩატარების საჭიროება დავინახე, გამომდინარე იქედან, რომ ისტორიის საგნის შესწავლისას მოსწავლეების ქცევაში შევამჩნიე ცვლილებები: წინა წელთან შედარებით ისინი იყვნენ პასიურები, ნაკლებ მოტივირებულნი და ნაკლები ხალისით ერთვებოდნენ საგაკვეთილო პროცესში. გარდა ამისა, გამომდინარე იქედან, რომ მე–7 კლასის მოსწავლეები გადავიდნენ ახალ საფეხურზე, დაწყებითი საფეხურიდან–საბაზო საფეხურზე, მნიშვნელოვანია, ამავე კლასიდან მათთვის ისტორიის შესწავლის მოტივაციის გაზრდა, მათთვის ისტორიის საგნის მნიშვნელობის ჩვენება, რომ სამომავლოდ აღნიშნული საგნის სწავლებაში მათ არ შეექმნათ პრობლემები.

დავიწყე კვლევაზე მუშაობა და მთლიანი სურათის მისაღებად გამოვიყენე რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების კომბინაცია. კვლევის განსახორციელებლად ვისარგებლე შემდგომი ინსტრუმენტებით: თვისებრივი კვლევის შემთხვევაში – დაკვირვება და ფოკუს ჯგუფი, ხოლო რაოდენობრივი კვლევის შემთხვევაში– ანკეტირება. მოვიძიე სხვადასხვა ტიპის ლიტერატურა, ამავე დროს, დავამუშავე, ჩემს საგაკვეთილო პროცესს და მოსწავლეებს შევუსაბამე სხვადასხვა ტიპის აქტივობები და შესაბამისად დავგეგმე და განვახორციელე ინტერვენციები. თემაზე ვმუშაობდი 2018–2019 სასწავლო წლის განმავლობაში, ოქტომბრიდან–ივნისის ჩათვლით.

საკითხზე მუშაობისას, ვთანამშრომლობდი ჩემი სკოლის მასწავლებლებთან. ვდებულობდი რჩევებს, უკუკავშირს, რომელიც ძალიან დამეხმარა არა მარტო კვლევის უკეთ წარმოებაში, არამედ ჩემს პროფესიულ განვითარებაშიც.

კვლევის დასრულების შემდეგ ანგარიში განვიხილეთ საზოგადოებრივი მეცნიერების კათედრის სხდომაზე. მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინების შემდეგ, კი წარვადგინე პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. კვლევის შედეგებისა და შემუშავებული რეკომენდაციების კოლეგებთან გაზიარების შემდეგ მივიღე

უკუკავშირი. კოლეგებმა აღნიშნეს, რომ საკვლევო პრობლემა აქტუალურია არა მარტო ისტორიაში, არამედ სხვა საგნებშიც, რომ აღნიშნული კვლევის გამოცდილება მათთვისაც შეიძლება ყოფილიყო სასარგებლო.

ამ კვლევის მთავარი „მონაპოვარი“ გახლავთ ის, რომ, საბოლოო ჯამში, მოსწავლეებში ისტორიის შესწავლის მოტივაცია და დაინტერესება გაიზარდა. კვლევის შემდგომ ვიცი პრობლემის არსი, და თუ რა მიმართულებით უნდა გავაგრძელო სამომავლოდ მუშაობა. კვლევა პრაქტიკული ხასიათისაა და ვფიქრობ სხვა კლასებთან მუშაობისასაც ცალსახად გამომადგება.

თუმცა, მე, როგორც კვლევის წარმმართველი ვთვლი, რომ წინ საკმაოდ ბევრი და აქტიური გაკვეთილი გველოდება. ეს იყო პირველი, საწყისი ნაბიჯები. სწავლა უწყვეტ პროცესს წარმოადგენს, მოტივაცია კი შედეგის გარანტიაა. გამოვიყენებ მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას, აქტიურად ვიმუშავებ ამ მიმართულებით და საჭიროებისამებრ, მომავალშიც განვახორციელებ სხვადასხვა ტიპის კვლევებს.

მზია ბაუჟაძე

12.06.2019 წ